1898 ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘ

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I ტყის სურათები ლექსი—შ. მდივანელისა 3
II ბელურები (რუსულიდან)—ან. წერეთლისა 8
III ვაშლის ქვეყანაში (დასასრული) თარგ.—ეკ. გაბაშვილისა . 24
IV აბრამის ლექსი ხალხური 41
V დამტერეული დედოფალა (თარგმანი)—შ ფრონელისა. . . 44
VI საკვირველებანი ბუნებისა № 19 - ლადო ადნიაშვილისა . . 52
VII სამეცნიერო გასართობი № 19 - ბორასი 55
VIII ძეძვი (იგავი)—ალ. მირიანაშვილისა. 56
IX პალიკოს ვირი (ფრანგულიდან)—ეკ. მ—სა 57
X წვრილმანი: ხალხური, ანდაზები, გამოცანა, ანაგრამა, შარადა, რებუსი და სხვა 60

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

ჯეჯილები

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ფ.

№ X

წელიწადი მეცხრე

ტფილისი
სტამბა მ. დ. როტინიანცისა ||| Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41.
1898.

Дозволено цензурою Тифлисъ, 14-го Октября 1898 года.

ტუის სურათები.

ათენდა. მინდვრათ გა-
ისმა
ტოროლას ხმისა ზრი-
ალი;
მთაში ტყემ გამოი-
ღვიძა,
ფოთლებმა მოართეს
შრიალი.
შესწყდა ბულბულ-
ის ხმა ტკბილი,
ყელში რაკრაკი, კრი-
ალი,
შაშვთა და შურთხთა დაჴფარეს
ნაკადის კლდეზე ჩხრიალი.
გაჩაღდა ყველგან სიცოცხლე,
შეიქნა ფუსფუს-ტრიალი,
მისვლა და მოსვლა ცხოველთა -
მწერთა ბზუილი, ყიალი...
აგერა მელა ცბიერი,
ეშმაკი, დაუდგრომელი,

კუდ-ამოკრეული მოძვრება
ხევ-ხევ ფეხ ჩაუდგომელი.
მთელ-ღამეს სოფლიდან სოფლათ
ფეგლია, ფწანწალია,
და, თუ შინ არა მოაქვსრა,
სულ ქოფაკების ბრალია...
შენ სადღა იყავ კბილ-ბასრო,
წუხელ სად დატანტალებდი?
ვინ იცის კბილებს კრეჭავდი
და თვალებს ატრიალებდი?
მაგრამ ვერ გახდი ვერაფერს,
შინ კუჭი მოგაქვს მშიერი,
ფუთფუთ კისერს მოგტეხდა
თუ მელაც გახლდა ცბიერი.



იცანით ვინა ბრძანდება?
ჩვენი თვალ-ხარბი მგელია;
ჩემს მტერს შეკვრია ეგ გზაზე,
ღმერთო, რა საძაგელია!
მაგან არ იცის გარჩევა
შინაურ გარეულისა,
სულ ერთი არის ოღონდ კი
მოიკლას ყინი გულისა.
მაგის ჯავრს მხოლოთ ხანდახან
ყრილობს მეცხვარის მურია;

ჭირის ქარ-ცეცხლში მის რისხვას
ეგ ბევრჯე ლგაუწურია.....
დინჯათ მოადგავს ტოტებსა
ბურტყულით-ბუზღუნურითა,
ტყე სულ თან მოაქვს მის გვერდებს
ლაწუხით, შარა-შურითა.



ბარათ ყოფილა დათუნა
სოფლები დაუზვერია;
ახლა შინ მოდის — ტყე ყველგან
მისი ქოხი და ჭერია.

სადაც კი ნახავს მწვანე ველს
მივა, იქ წამოგორდება,
ფეხს არ გააქნევს, მუცელი
ვიდრე არ აუღორდება.

ქორ-ბუდიანი, ფეხ-მალი,
ზურგზე ჩხა-გადაგდებული,
ფერდობზე მიდის საძოვრათ
წუნარათ ყელ-მოღერებული.
პატარა ნუკრი თან მისდევს,
ნუკრს კიდევ — დედ-მშობელი;
ყველას აშინებს მტრის საფრთხე
და ტყვია დაუნდობელი.

ოჰ რა ლამაზი რამ არის
მათი უმანკო თვალები,

წაბლის ფერ კანზე დაყრილი
აქა იქ თეთრი ხალები...
შენ, მონადირევ, რათა ხარ
ბოროტი, დაუდეგარი,
შენი სიცოცხლის მიზანი
განა მარტოკა ეგ არი,
რომ ხელში თოფი აიღო
იხეტიალო ტყე-ველათ,
და ტყვია გაუწუწუნო
ნადირებს განურჩეველათ?
რას გიშლის შველი, ქვეყნისთვის
მას რამე წაუხდენია?
მგელს და მას ერთგვარ რომ უმზერ
განა თვით არა გრცხვენია?..

შენც აქ ყოფილხარ, კუდ-კვნიწო,
თხილის-პარიავ, წრუწუნა,
საიდან გამომიტყვერი,
როგორც ელვა და უცუნა?
სოფლათ არ გეყო კაკალი,
რომ აქაც ამოჩვეულხარ?
უთუოთ გდევნის ვირ-თაგვა
და ტყეში გამოქცეულხარ...

ოჰ ის ბოროტი, ის მავნე,
ის საძაგელი, წყეული,
ჯავრს შენზე ყრილობს კატების
შიშისგან გადალეული?

სოფელში დიდხანს შენსავით
არც იმას ედგომინება
მალე იციან ციცებმა
„მუცელას“ გათახსირება.

შ. მღვიმელი.





ბეღურები.

(რუსულიდან)

I

ოფლის ბეღურებმა კარგათ იცოდენ, რომ მდინარის იქით, გორაკაზე არის დიდი ძველი ოდა კარ-მიდამოთი, ჩაკეტილ-ფანჯრებით და დარაბებით, გაუვლელი ბაღით და ეზოთი და გადმოწოლილი ჯიშკრით. ბეღურები ამ ოდას ყურადღებას არ აქცევდენ, რადგან აქ არავინ ცხოვრობდა და რაკი არავინ ცხოვრობდა არც საზრდო იქნებოდა მათთვის: მარცვლებს არავინ გადუურიდა, ყეფრიელ ნამცეცებს და ჰურის ქერქს ფანჯრებიდან არავინ გადუგდებდა. გარდა ამისა კარ-მიდამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსე იყო ეკვავებით და ჭილუკვავებით. მხიარულ ბეღურებს არ უყვარდათ ეს ჰრანჭია შავი ვაჟბატონები, რომელნიც დილიდან საღამომდე ჩამწკრივებულნი ვერხვის და თელის ხეებზე, ხაბაგლათ ჩხაოდენ. ბეღურებს უფრო უყვარდათ ლოფლის განიერი შარა-გზა, ახლათ დაერილ ჰატივის ქექა, წისქვილზე მიმავალ გლეხის დაზვერა, რომელსაც უსათუოთ „ეველი“ ტომრიდან მარცვლები დაეფანტებოდა და მითი ბეღურებს მთელი სადილი მოუმზადებოდათ. მეტადრე აღდგომა იყო ამ ბეღურებისთვის, როდესაც კალოობას და ჰურის ლეწვას დაიწყებდენ.

მაგრამ ბევრ შავდღესაც ხედავდენ ეს ჩიტუნიები, ზამთარში მიიმალება ხოლმე მზე, დადგება ყინვები, დედამიწა შეიმოსება თეთრათ, მაშინ მშვიდობით ქეიფო. გაზაფხულამდის კი დღეებს ვეღარ ნახვენ ბეღურები! თოვლ ქვეშ რა საზრდოს იპოვიან ეს ჩიტუნიები და არა ერთხელ მშიერნი რჩებიან.

ბეღურებმა კარგათ იციან, რომ სასტიკ ზამთარს ბოლო მოეღება და დადგება, ადრე თუ გვიან, გაზაფხული. გაზაფხული ნებას არ მისცემს მკაცრ ზამთარს, რომ საბრალო ბეღურებს გაუჭირვოს საქმე და მზის სხივებით გათბობს ამ ჰატარებს.

ბოლოს ზამთარი გაიძრობს თავის ქურქს და გაექცევა მზის სხივებს.

ბელურები ისეთი ჟივილ-ხივილით და ხმაურობით ისტუმრებენ ზამთარს, რომ ეველა გამლელ-გამომლელი უცქერის ხოლმე და თითონა ამათთან ერთათ ხარობს.

ბელურები თან-და-თან მხიარულობენ: წელები იწყებენ სასიამოვნოთ ჩუხჩუხს, ია და ზამბახი იშლება, მზეც თავის ოქროს სხივებს უხვათ ჰფენს მინდვრებს, ტეე-ველს, მდინარის ჰირს გაშლილ სოფელს და მველ დიდ ოდას კარ-მიდამოთი.

ერთხელ ბელურები ისე ხტუნავდენ, ჭეიოდენ, ჭიკჭიკობდენ, რომ ერთი ახალი ამბავი გამოეპარათ.

— აი, თქვე მოუსვენრებო, დაუცხრომლებო! უთხრა ერთხელ მოხუცმა ეარეატმა, რომელიც ბუდიდან დასცქეროდა მთელ არე მარეს.—აქეთ იქით აწუვეტთ თავს, ევირილით ეანურატოს იშრობთ და ის კი ვერ შეამჩნიეთ, მიგდებულ და მივიწყებულ დიდ ოდაში რა ამბავი ხდება!

— რა ხდება, რა? შეჰკვირეს ბელურებმა.

მაგრამ ეარეატმა ჰასუხი არც კი აღირსა. გადმოხტა ბუდიდან, შეიბერტეა თავისი გრძელი ფრთები და გაფრინდა ახლათ მდებარე ჭაობისკენ.

— ფრრრ...! ერთი გაისმა ხმა და ბელურეების მთელი გუნდი გაექანა იქით მხარეს, სადაც ეგულებოდათ მველი დიდი ოდა თავისი კარ-მიდამოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ეცბათ გაცოცხლდა ეკლით და ჯინჯარით სავსე კარ-მიდამო.

ერთბაშათ გაჩნდა სალხი, დაიწყეს ეველაფერის გაკეთება და მილაგება, რამდენსამე დღეში ეზო მოასუფთავეს, კედლები შეათეთრეს, ახლათ შეღებილი დარაბები და ფანჯრები გააღეს. დაჟანგული სახლის სახურავის ქესტი წითლათ შეღებეს, ეველაფერი კრიალებდა, ისეთი სისუფთავე იყო, რომ ბეღურებს ამის მსგავსი ჯერ არა ენახათრა.

მხატვრებმა და ხელოსნებმა გაათავეს თავისი საქმე, შერე მებაღეებმა მიჰყვეს ხელი: დაიწყეს გამხმარი ხეების მოჭრა, კვლები დაამზადეს, სახლწინ ევავილები დათესეს და მიტოვებული და უკუგდებული კარ-მიდამო გაცოცხლდა.

როდესაც ეველაფერი მზათ იყო, მოზიდეს დიდ ძალი ბარგი და გამოჩნაა ეტლიც!

დადგა თუ არა სახლის კარებთან ეტლი ბეღურები მწუობრათ ჩამწკრივდენ ღობეზე. ამათ დაინახეს, როგორ გადმოვიდენ ეტლიდან ორი ქალი და სამი მორთული ბავში: ორი ვაჟი და ერთი ქალი. ქალს ხელში დედოფალა ეჭირა.

ბეღურებს არ ენახათ თავის დღეში არაფერი ამის

მსგავსი, მეტადრე მაშინ გაიკვირვეს, როდესაც ეტლიდან გადმოიღეს ჰრჭუვიალა ჰატარა სახლი, ჩხირებისაგან გაკეთებული, რომელშიაც იჯდა შვენიერი ევითელი ფრინველი.

ოფელში ამგვარი ფრინველი ჯერ არ ენახათ და არც ჩხირების ჰატარა სახლი იცოდენ რა იუო. ეს სახლი კი არა—ნამდვილი ჰაწია სასახლე იუო. მართულის ჩხირები ლამაზათ იუო აკინძული და ბრჭუვიალი გაჭქონდა.

— ჩვენი მერცხალი რანაირათ დახელოვნებულია ბუდეების გაკეთებაში, მაგრამ იმასაც გაუკვირდება ეს საოცარი სახლი რომ ვანახოთ, ფიქრობდენ ბეღურები.

ეს ჰატარა სახლი ერთ წამს გაქრა, მაგრამ მალე დაინახეს, ერთ ფანჯარაში, სუნნელოვან ევავილებ შორის ჩამოკიდული.

ბეღურები შორიდან აღტაცებაში მოდიოდენ ოქროს ფეროვან ფრინველით, ხმის გაცემას კი ვერა ბედავდენ.

მთელი დღე ბეღურები ერთი ბუჩქიდან მეორეზე გადაფრინდებოდენ, ღობიდან სახლის სახურავზე გადადიოდენ, იქნება ეს უცნაური ფრინველი უფრო კარგათ გავშინჯოთო, მაგრამ ევითელი ფრინველი თითქოს განგებ არა ხედავდა იმათ. მგზავრობას შემდეგ იბანავა, მერე შეუდგა საუზმეს ჭამას და მადიანათ ულაპავდა ჭინჭველების კვერცხებს.

ბოლოს ერთი ბეღურა, რომელიც სხვებზე უფრო გამბედავი იუო, ფანჯარაზე შესკუპდა.

ოქროსფერმა ფრინველმა შეხედა ერთი მედიდურათ და ჰირი მიიბრუნა.

— გამარჯვება, ქალბატონო! დაიწრიპინა ერთბაშათ გამბედავმა ბეღურამ.

ჰასუხი ვერ მიიღო.

— ქალბატონო, გამარჯვება! განიმეორა ბეღურამ.

ფრინველმა კუდი მოიქნია და თვალები დაბჟუტა.

— ამას რას ვხედავ? თქვა გაკვირვებით ბეღურამ, — ჩვენ სოფელში ყოველთვის, როდესაც ერთი მეორეს შეხვდებიან „გამარჯვებას“ ეტყვიან: ყარუატი—ყარუატს მიესალმება, ყვავი ყვავს დაუჩხავლებს. ბეღურები, არა თუ თავისიანებს, ყველას სათითაოთ მიესალმებიან. ეს ფრინველი კი არავითარ ყურადღებას არ გვაქცევს.

შეურაცხყოფილი ბეღურა აიბურძგნა, გამოუცხადა თავის ამხანაგებს, ოქროს ფერი ფრინველი უზდელი და ბრიყვიაო და გასწია სოფლისაკენ, რომ თავის დამცირება შეეჩივლა მოხუც ყარუატისთვის.

ყარუატი ნიშნათ ყურადღებისა შედგა ერთ ფეხზე, გაიგრძელა კისერი და მოთმინებით მოუსმინა ბეღურას თავიდან ბოლომდის.

— ოქროსფერ ფრინველს ჭქვია იადონი, აუხსნა ყარუატმა. — თბილ ქვეყნებში, სადაც ზამთრობით მეც მივდივარ არის ერთი კუნძული; იქ ძალიანბევრია მაგისთანა ფრინველები, როგორც აქ ბეღურები, ჩვენ მხარეს კი იშვიათია.

და ამიტომ აგრე ეფერება ხალხი. იმათ მოსწონთ მაგისი წრიპინა ხმა, თუმცა მე მეჯავრება... უნდა კი გითხრა, რომ ეგეც ისეთი სულელია, როგორც თქვენ, ბელურებო, ეგეც ვერ ეწეობა ჭაობის ბაყაყებს და ხვლიკებს.

ბელურამ იცოდა, რომ ყარყატი ერთი თავის ნათქვამი ვინმეა, გემოვნებაზე არ ეწინააღმდეგა და გასწია წისქვილისაკენ, სადაც მარცვლები ბლომათ ეგულებოდა.

III

ბღვები გარბოდენ. ბელურები ეოველ დღე მიდიოდენ ოდის კარმიდამოს დასათვალიერებლათ.

ამათ აქ იზიდავდა ოქროს ფერი ფრინველი, რომელიც ისე შვენივრათ გალობდა, გემრიელი მარცვლები, რომელიც გალიიდან ცვიოდა ფანჯრის ნაპირებზე და თვით უმაწვილებიც, რომელნიც დასეირნობდენ ხეებ ქვეშ, ბალის ხეივანში.

ირაჟრაჟებდა თუ არა, ბელურები მოვიდოდენ ოდის კარმიდამოზე და მოუთმენლათ ელოდენ დარაბების და ფანჯრების გაღებას. ბელურებს ერთი რამ ვერ გაეგოთ, რა-

ტომ არ უეკარდათ ამ მოსულ ხალხს დილის რიჟრაჟი და მარტო მაშინ რატომ იღვიძებდენ, როდესაც მზე მაღლა, მაღლა ავიდოდა და სახლს გადაცილდებოდა. — ამ ხალხს უსათუოთ თავის დღეში არ უნახავთ მზის ამოსვლა, თორემ მაისის დილას როგორ დარჩებოდენ ბნელ ოთახებშიო, გადაწყვიტეს თავის გუნებაში ჩიტუნიებმა და, რომ ემაწვილები გამოეღვიძებიათ მოჰყვენ საწოლ ოთახის ფანჯრების წინ ჭიკჭიკს და ხმაურობას.

მაგრამ ამანაც არაფერი უშველა, მაინც ერთსა და იმავე დროს აღებდენ ფანჯრებს.

მხოლოთ თავისი თავი აზარალეს, მოსამსახურეებმა დაუწყეს ბელურებს დევნა, რომ მათ თავისი ხმაურობით არ გაეღვიძებინათ ჰატარა ზარმაცები.

ბელურებმა ეს საწყენათ მიიღეს და გადაწყვიტეს იშვიათათ გამოჩენილიყვენ ოდის კარმიდამოზე.

მხოლოთ ერთი გულადი ბელურა ვერ მოაშორეს ფანჯარას, სადაც ოქროს ფერი ფრინველი მღეროდა. ყოველ დღე მოვიდოდა, დაჯდებოდა ფანჯარაზე და ისმენდა იადონის გალობას.

ბავშების მკვირცხლ თვალებს არ გამოეპარათ ეს ამბავი და ერთხელ, როდესაც გულადი ბელურა არ მოელოდა უბედურებას, ფანჯარა ერთბაშათ მიხურეს და საბრალო მოემწყვდია ოთახში.

ბელურა ეცა აქეთ იქით, მივარდა მინას, უნდოდა

ოთახიდან თავის ალაღწევა, მაგრამ ვერაფრით მოახერხა, უმაწვილები შემოვარდენ და უნდოდათ ჩიტუნია უთუოთ დაეჭირათ.

ბელურამ უკანასკნელათ მოიგონა რაც ღონე ჰქონდა, ჭერში კამარა გააკეთა, ერთბაშათ დაეცა ფანჯარაზე და დარაბების კუნჭულში მიიმალა.

— ახლა კი გადვურჩი, იფიქრა ბელურამ,—გააღებენ თუ არა ფანჯარას იმ წამსვე გავფრინდები.

იადონი კი გაჰკიოდა: იქა... იქა, იქა!—და კისერს იშვერდა იქ, სადაც ბელურა იყო მიმალული.

— ოღონდ კი თავი დავიხსნა, გავფრინდე სოფელში, შარაგზაზე, და ფეხს ალარ დავადგამ ამ კარმიდამოზე! გადაწყვიტა ბულურამ.

იქა...იქაა... გაიმახოდა იადონი.

ბოლოს მიხვდენ უმაწვილები სადაც ემალებოდათ ბელურა, მიეპარენ, დაიჭირეს, მაგრამ ისე უხერხულათ მოჭკიდეს ხელი რომ საბრალო ჩიტს მარცხენა ფეხი ეღრძო...

— აა! ძლივს არ დაგიჭირეთ! ეკვიროდენ უმაწვილები,—ახლა ვეღარ წაგვიხვალ, გალიას გაგიკეთებთ. შენისთანა ლაჩანთრიანს ჩვენ ლამაზთან ხომ ვერ ჩაგსვამთ გალიაში, მაგრამ ნუ გეშინია, შენც გაჯმევთ და არაფერს მოგაკლებთ.

გალია ეუთისა გაუკეთეს, ნერგის ჩხირები გაუკარეს, შიგ ტუსაღი ჩასვეს და ფანჯრის წინ, იადონის გვერდით დაჰკიდეს.

ახლა აღარ მოსწონდა იადონის მეზობლობა, საბრალოს, ნაღრძობი ფეხი საშინლათ ტკიოდა, ნატრულობდა თავის შარა გზას, სადაც ახლა თავისუფლათ დათარეშობდენ ძისი მეგობრები და გული ნაღვლით ევსებოდა.

ეჭვი არ იყო, რომ ამ მვენიერმა მეზობელმა გასცა, მტრებს ჩაუგდო ხელში ამისი თავი და ეს საშინლათ გულს უკლავდა ბელურას.

ბელურა აიბურძგნა, მოიკუნტა და საჭმელს არ ეკარებოდა. იადონი ყურადღებით უცქერდა, თვალს ადევნებდა, მაგრამ ხმას კი მაინც არა სცემდა.

ემაწვილებს ძალე მობეზრდათ ეს ნაცარა ჩიტი და გაიქცენ ბაღში.

— ჰა! ჩავარდი მახეში?! ბოლოს გასცა ხმა იადონმა.

— თქვენი მოწყალებით! უთხრა ევედრებით ბელურამ.

— მე რა შუაში ვარ! გაიკვირვა იადონმა და თითქოს უმანკო იყოსო ისე გადახედა.

— ვინ უგალობებდა: „იქა... იქაო“ და ჩემკენ უჩვენებდა?

ამაზე იადონმა აღარაფერი უპასუხა და გააბა თავისი მხიარული გალობა.

— რაზე ტირი? ჰატარახანს იქით ჭკითხა კიდევ იადონმა.

— მე არავარ დაჩვეული ტყვეობას... თავისუფლება მინდა.... ახლა სოფლის შარა გზაზე რა მხიარულობა იქნება. ტირილით უპასუხა ბელურამ.

— აი შე ხეპრე!... შე გაუთლელო სოფლელო!... უპასუხა იადონმა.

როდესაც გავარდა ხმა რომ გულადი ბეღურა დაიჭირესო მთელი გუნდი ბეღურებისა გაეშურა ოდის კარმიდამოსკენ ამხანაგის სანახავათ. დიდ-ხანს ევლებოდენ ფანჯარას, ერთ ტოტიდან მეორეზე გადასკუპდებოდენ, თავისებურით ნუგეშს სცემდენ, შველით კი ვერაფერი უშველეს და ისევ გაფრინდენ თავ-თავის ბუდეებში. ტევეს გული გაუტეხდა, აღარ იცოდა რა ექნა, გალიაში თავს აწუვეტდა, საცოდავათ წრიპინებდა, ნისკარტით ცდილობდა ჩხირების გაწევ-გამოწევას. გათავდა იმითი რომ ჰირი გაუსისხლიანდა და მეზობელ იადონმაც დასცინა.

— ხეპრე ხარ და ხხვა არაფერი! ზიზღით უთხრა იადონმა, — თუ აგრე მოიქეცი, კატებს მიგიგდებენ შესაჭმელათ.

თუმცა ბეღურას გულადათ მოჭქონდა თავი, მაგრამ კატის ხსენებაზე მიწუნარდა და ნაღვლიანათ თავი ჩაღუნა.

— ქალაქში ეოფილხარ როდისმე? ჰკითხა ერთბაშათ იადონმა.

— რა არი ეგ ქალაქი? ცნობის მოუვარეობით დაეკითხა ბეღურა.

— ჭა, ჭა, ჭა! არც კი იცის რა არი ქალაქი!... მართლა რომ ხეპრე სოფლელი ხარ!...

რომ უფრო გააკვირვოს და აგრძნობინოს ბეღურას მისი უვიცობა, მგალობელ ფრინველმა თავი დაიმდაბლა და მოჭეეა უბოლოოთ ჭიკჭიკს.

მაგრამ ბელურა აღარ უგდებდა ყურს. გალია სულს უხუთავდა. დაიწყო კიდევ ფართხალი. ამ დროს ფანჯარა მიუხურეს და დარაბები ჩაუკეტეს.

ნუ თუ ჩემ დღეში ვეღარ ვნახავ მზის ამოსვლას? ამოიკვნესა საცოდავათ ტუვემ.

— რა სულელი ხეპრე სოფლელია! ჰასუხათ უთხრა იადონმა და უდარდელათ დაიძინა.

ტუვემ კი ისევ დაიწყო გალიის ჩხირების აქეთ-იქით მიწევ-მოწევა.

ვერც დაღალვას, ვერც ტკივილს ვერ გრძნობდა და შუაღამემდის ისე მუყაითათ იმუშავა, რომ ბოლოს შესძლო გაალიდან თავის გამოყოფა, მერე მხრებიც გამოაძვრინა.

ასე დილამდის შეუწყვეტლივ მუშაობდა, თუმდა არ იცოდა მოახერხებდა გაქცევას თუ არა.

დილით, როდესაც გააღეს ფანჯარა, დაღალულმა ბელურამ არც კი შეხედა თავის მოდალატე მეზობელს, გაშალა ფრთები და ისარივით გაფრინდა იქით, მდინარისკენ, ეანებისკენ, სადაც მისი ნაცარა მეგობრები ჭიკჭიკებდენ.

სოფლის შარა გზის მეგობრები დიდი სიხარულით დაუხვდენ განთავისუფლებულ ტუვეს. ბელურა თუმცა ძალიან კოჭლობდა, მაგრამ ეს მას არ აწუხებდა. ახლა ის თავის ბინაზე იყო, თავისიანებში, თავის შარა-გზაზე.

მომმე ბელურებმა გაუმართეს ლხინი, ისეთი ჟივილ-

ხივილი და მოძრაობა ატეხა, რომ გამლელ გამოძლელნი გაშტერებით შესცქეროდენ.

კოჭლ ბეღურას უსაზღვროთ ახარებდა ამ გვარი შეგებება.

V

ზაფხულის დღეები გრძელია, მაგრამ მალე გარბიან. ვერ მოასწრებ თვალის დახამხამებას, რომ ხეებზე ფოთლები გაუვითლდება, მოტიტვლებულ ძირდვრებზე შემოდგომის ქარი დაზუზუნებს, ცა იბურდნება და წვიმას გვიქადის.

ბეღურები უდარდელათ აღარ ჭიკჭიკობენ. გუნდებათ იკრიბებიან და რაღაც განგაში გააქვთ.

ყველას თავისი ნაღველი აწუხებს.

კოჭლი ბეღურა დღეს არ იღებდა მონაწილეობას განგაშში და ჩუმათ წავიდა ოდის კარმიდამოს დასათვალიერებლათ, იქ ხომ ცვლილება რამე არ მომხდარაო.

ავდრიანი დღე იყო, წვიმდა, მკაცრი ქარი მოშიშვლებულ ხეებს ანძრევდა და შავი ღრუბლები მთელ ცას მოჭფენოდა.

ბეღურას ძალიან გაუკვირდა რომ ოდის არე-მარეზე ადამიანი აღარა ჩნდა. კარები და ფანჯრის დარაბები დაკეტილი დაუხვდა. ეზოშიაც ძე ხორციელი არა ჩანდა.

— აქაური ბატონები ეარეატის ჯიშისა ეოფილან, ზამთრობით გარბიან იქით, სადაც თბილა,-გაიფიქრა ბეღურამ.

ამ დროს მოესმა საცოდავი წრიპინი.

მიბრუნდა და სახლის სახურავზე სწორეთ ფანჯრის თავზე დაინახა იადონი. საბრალო სიცივისგან კანკალებდა. თითქოს მკაცრი ქარი ეს ეს არის ახლა ბუმბულივით მოიტაცებს და გადისვრის სადმე შორსაო...

— ეს აქ საიდან გაჩნდა? დაიჭიკჭიკა ბეღურამ. იადონი აცახცახდა და სახურავიდან შიშით კინაღამ ჩამოვარდა. სულ ორ ნაბიჯის მანძილზე იყო ძისი მტერი ბეღურა.

— აბა, ახლა იდროვებს და მიმტრობს ეგ სოფლელი, მე ხომ ემაწვილებს მივასწავლე მაგისი ბინა. გადაწყვიტა იადონმა და შიშით თვალები დახუჭა. მაგრამ როგორ გაუკვირდა, როდესაც ბეღურამ დაუწყო იადონს გულშემატკივრათ გამოკითხვა: რა დაგემართა, რომ ამ სიცივეში გარეთ დარჩენილხარო. იადონს ისე გაუკვირდა, რომ ერთ წამს ჰასუხი ვერ გასცა.

ბოლოს უამბო, უთუოთ ჩემ ჰატრონებს რაღაც ამბავი მოუვიდოდათ რომ ერთბაშათ გაეშურენ ქალაქს. მე კი, რაღაც ეშმაკათ, სწორეთ ამ დილით მომინდა სეირნობა და, რადგანაც კალია მიხუჭული არ იყო კარგათ, გავეფრინდი ბაღში, იქ რაღაც შავმა დიდმა ფრინველმა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინა, გაკიქეცი და გზა დამებნა, ისე რომ ღამე სხვის ჭერ ქვეშ მოძინდა გათენება. მეორე დღეს, როდესაც მშიერი და დაღალული მოვედი, სახლი ცარიელი დამიხვდაო.

— ეველას ალბათ მკვდარი ვეგონე და წავიდენ, თქვა წრიპინით ბატარა ფრინველმა.

— ახლა რაღასა იქ? წაიჟღურტულა ბეღურამ. იადონმა ხმა არ ამოიღო, მხოლოთ შიშით შესცქეროდა მას.

— იცით რა უნდა გითხრათ, ქალბატონო, იქნება მე სოფლელსაებ ხეპრე ვიეო, მაგრამ ცოტაოდენი ჭკუა კი მაქვს.. აქ თქვენ ხეირი არ დაგეურებათ. კატები, ეკავები გაგიჭირებენ საქმეს, ძიმშილიც ხეირს არ დაგაურისთ... აქ სულ დაიღუპებით... არა ჯობია ჩემთან წამოხვიდეთ, სოფლის შარა გზა ზე? არც აგრე ცუდია ჩვენი მხარე, როგორც გგონიათ... მე ხომ ის ეველას მირჩევნია. ბინას მოგიძებნით სადმე სახლის ჩალის სახურავში... ერთათ ვემებოთ მარცვლები და, როდესაც ეინვები დადგება, სადმე ჩარდახში, ბუხრის საკვამლესთან დავბინავდეთ. იქ ძალიან ეობილება... როდესაც გაზაფხულზე მოფრინდებიან მერცხლები, ეარეატები და შენი ნაცნობები, მაშინ გადაბმანდი შენ სასახლეში. არ ძოგწონს ჩემი აზრი?

— რა კეთილშობილი ეოფილხარ.. მე ღირსი არა ვარ მაგ გულ-კეთილობისა... მე ხომ გლანძღავდი, დაგცინოდი... აბბობდა შერცხვენილი იადონი.

— რა ვუეოთ, ჩემო ქალბატონო, მაგას ნურც მი-

ვიგონებთ... მართალია სოფლელ ხეპრესაც მიძახდით.

— ჩემი მიზეზით კოჭლობთ, წაიჟღურტულა იადონმა.

— კარგი, კარგი. ძველს ნუ მოვიგონებთ, გაშალეთ თქვენი ფრთები და გავწიოთ სოფლის შარა გზისკენ,.. აბა, ერთი-ორი... და სწრაფათ გაეშურენ ორივენი.

ცა იბურდნებოდა, დედა-მიწა დაღვრემილი იყო, ხეებს მოწყენილათ შრიალი გაჰქონდათ, მაგრამ ბედურა მხიარულათ იყო და სულაც არ ეშინოდა მომავალ ზამთრისა.

ან. წერეთლისა.

ვაშლეგის ქვეყანაში.

(შემდეგი)

ამასობაში ორმა პოლიციელმა მიიყვანეს პაპა და შვილიშვილები პოლიციაში. მოხუცი ტიროდა და ათას კითხვებს აძლევდა პოლიციელებს თავის სამშობლო ენაზე, მაკრამ ვინ რას გაიგებდა; დქემა გრძნობდა თავის დამარცხებას და მკვდარივით გაჩუმებული იყო. მარტო თვალები უბრიალებდა საშინელის სიანჩხლით და ისეთ ელვის სხივებს ისვრიდენ აქეთ იქით, რომ თვით ვეზუვი შეიშურებდა ამათ სიცხოველეს თავის აქოთების დროს. ბინდო გოჭივით ჭყვიტინებდა.

მთელი ოთხი წელიწადი დამოგზაურებდენ ესენი სამხრეთ ინგლისში და არც ერთხელ, არც ერთ ადამიანს არ აუკრძალავს ამათთვის ამ გვარი დროს გატარება, არავის უთქვამს, რომ ამათი ხელობა უკანონო იყო.

ან რა უნდა ყოფილიყო ცუდი იმაში, რომ ბებერი უწინასწარმეტყველებდა გლეხებს კარგ მოსავალს? ან იმაში, რომ ჰპირდებოდა მეურმეს საუკეთესო საქონლის შეძენას? პაპა თავის დღეში არავის არას აწყენინებდა და შვილიშვილები ისე უყურებდენ იმას, როგორც თვით სათნოებას.

პოლიცია კი ცუდის თვალით უყურებდა ამათ; დქემამ ისე უკბინა ერთ პოლიციელს თითზე, რომ ახლაც ისევ საშინლათ ეწოდა; მოხუცი ამათ ეგონათ ერთ საშინელ ოინბაზათ, რომელიც

მთელ თავის სიცოცხლეს სხვის მოტყუებაში და გაცარცვაში ატარებდა. ინგლისის პოლიციას მომეტებულათ სძაგს უცხო ქვეყნელები და რასაც უნდა აკეთებდენ ესენი, მაინც ცუდ კაცებათ მიაჩნიათ და სდევნიან ამათ.

პოლიციის სახლში შერეკეს საცოდავი იტალიელები და გარედან კლიტე დაადეს.

შუა ღამე იყო. პოლზე გაშლილი იყო სუფთა თეფა და ფანჯარაზე იდო დიდი ყუა პური და ლიტრით წყალი. პაპა და ბინდო საშინელ სასოწარკვეთილებას მიეცენ: პირქვე დაეცნენ თეფაზედ და მორთეს საშინელი ტირილი და ვაი-ვაგლახი; დედემა კი არ ტიროდა, იმას სახე ეწოდა, კბილები მაგრა ჰქონდა მოჭერილი, ეს იხრჩობოდა სიბრაზით და სიბრაზე აღარ აფიქრებდა ამ საშინელ მდგომარეობაზე. ოჰ, რატო აქ არ არიან ნეოპოლიტანელი მეგემენი, რომ ამოეწყვიტათ ეს უმზგავსნი ინგლისელნი.

დედემას უნდოდა ცეცხლი წაეკიდებინა თავის სატუსაღოსთვის, ჯიბეში წუმწუმა ჰქონდა, მაგრამ თითონ გზა არ ჰქონდა გასასვლელი და თავის დაწვა კი არ უნდოდა, რა ექმნა საწყალს? რა ექმნა?

— რისთვის დაგვიჭირეს? ცუდი რა ჩავიდინეთ? თქვა ბოლოს დედემამ სიმწარით.

— ჩემო ძვირფასო, მიუგო პაპამ, რომელიც ჩალაზე იწვა და ჰკანკალობდა შიშით და სიცივით, კანონთან ჩვენ უთუოთ ისეთივე უმნიშვნელონი ვართ, როგორც მინდვრის თაგვი. ჩვენ მაწანწალანი ვართ; ჩვენ არა ვქონია ხელობა და არა ვართ ვაჭარნი.

მართალია, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვაძლევთ პურის და ბინის ფასს!

— იქნება იმათ არა სჯერათ ეგ. მე ყოველთვის მეშინოდა ამ შემთხვევისა და აი კიდეც დაგვატყდა თავს, რასაც მოველოდი.

მოხუცი ისევ დაეცა ჩალაზე და დაიწყო ტირილი: ოჰ, რისთვის, რისთვის დავანებე თავი მხიარულ ქუჩებს ნეაპოლისას, სადაც ყოველთვის შეუწყვეტელი სიმხიარულეა და სადაც ყოველთვის შეიძენდი ლუკმას!

ტირილით ისე დაიღალნენ ბინდო და პაპა, რომ შეუნიშნავათ ჩაიძინეს. თვალი არ მოუხუჭავს მხოლოთ დეემმას, რომელიც იწოდა მწუხარებით და გულის წყროსმით.

გათენდა თუ არა, ესენი სამსჯავროში წაიყვანეს. იქ მრავალი ჩინოვნიკები და დიდკაცობა ისხდენ, მაგრამ მათ შუა დეემმა ხედავდა მარტო ერთს, ხედავდა გუშინდელ ცხენოსანს, რომელსაც ორი სილა უთავაზა. ფილიპპე კარრეი დღეს მორიგეთ დაესწრო მსაჯულების სხდომას და ვერაფრათ ესიამოვნა, როდესაც იცნო იტალიელი ოჯახობა; სამივე საცოდავი სანახავები იყვნენ, ჭუჭყიანები, მშიერნი და ნამტირალევნი.

ღამემ, რომელიც ამათ სატუსაღოში გაატარეს, სამუდამოთ მოაშორა ამათ სახეს ის მხიარულება, რომელიც შეადგენდა ამათ ერთათ ერთ ბედნიერებას. ჩალა მიჰკროდა ამათ ტანსაცმელს, თვალები მოხუცისა და ბინდოსი დასიებულნი იყვნენ ბევრი ტირილით; მარტო დეემმა, თუმცა გაწეწილის თმებით, ჭუჭყიანის ტანისამოსით და აღელვებულის თვალებით, ისეთივე მშვენიერი იყო, როგორც ყოველთვის.

და რადგანაც მარტო დეემმამ იცოდა ცოტაოდენი ინგლისური ენა, მხოლოდ ეს აძლევდა მსაჯულებს პასუხს კითხვაზე; როდესაც ამან სთქვა, რომ ამის პაპას ჰქვიან ეპიფანე სანტო, ყველამ სიცილი დაიწყო ამისთანა უცნაურ სახელზედ, ეს დეემმას საშინლათ ეწყინა, უკან გადიყარა თვალებზე წამოწეწილი კულულები და ამაყათ დაიყვირა;—რალასთვის მკითხავთ, თუ კი თქვენ თითონვე დასცინით თქვენი ნაკითხის მნიშვნელობას?

მერე მიირბინა ერთ ერთ მსაჯულთან და უთხრა: თქვენ დაგვაჭერინეთ! რისთვის? განა ჩვენ ვუშავებდით ვისმე რას? ჩვენ მხოლოთ ვცეკვამთ, პაპა სალამურს უკრავს და ზოგჯერ უბრალო ფოკუსებს უჩვენებს მაყურებელთ; თქვენ წაართვით მოხუცს მანქანების კოლოფი და გგონიათ, რომ პატიოსნება ჩაიდინეთ? ჩვენ ქურდები ხომ არა ვართ, ან ვის რას ვუშავებთ? როცა ბინდო მოჰგლეჯს სადმე

ვაშლს, მე ყოველთვის ეუშლი! და რაკი ინგლისურათ ვეღარ მოახერხა დჟემმამ, დაიწყო ნეაპოლიტანურათ წყევლა-კრულვა და ვერავინ ვეღარა გაიგორა, მხოლოთ ხელების ქნევაზე და გაბრწყინვებულ თვალებზე ატყობდენ ყველანი, რომ ეს დიდათ განრისხებული იყო ამათ უსამართლობაზედ.

ფილიპპე კარრეი დაკვირვებით უყურებდა დჟემმას და ხმას კი არ ღებდა; ამის ამხანაგმა მსაჯულმა უბრძანა გოგოს გაჩუმება და დაუწყო მოწმეს, პოლიციელებს გამოკითხვა. ყველამ უჩვენეს, რომ ბებერი იტალიელი უშლიდა ქალალდს, უჩვენებდა ფოკუსებს და ამ უსარგებლო ოინებით სცინცლავდა ხალხს ფულებს, ბავშები კი თამაშობდენ; რომ ამათ არ ჰქონდათ ბინა, ესენი დაეხეტებოდენ ერთი ალაგიდან მეორეზე, ამათ ქალალდებიდან სჩანდა, რომ ესენი ნეაპოლიტანელები იყვნენ. შემდეგ იმ პოლიციელმა, რომელსაც დჟემმამ ხელზედ უკბინა, ხელი უჩვენა მსაჯულებს და ;ამ შემთხვევამ ხომ საშინლათ ააღელვა მსაჯულები.

ფილიპპე კარრეიმ ამ შემთხვევაზე გაიცინა და არც კი დახედა ნაკბენ ხელს. დჟემმა თვალს არ აშორებდა ფილიპპეს და ფიქრობდა: ეს უბედურება ნამდვილათ ამან მოგვაყენა იმისთვის რომ გუშინ დილას სილები გავკარ და უნდა ციხეში ჩაგვსხასო.

ოჰ, რა რიგათ მძულს, რა რიგათა! —აკრაჭუნებდა დჟემმა კბილებს და კიდევ მივარდებოდა საცემრათ, რომ პოლიციელებს მაგრა არ დაეჭირათ. მე კიდევ ჯანი გამეარდეს, ფიქრობდა დჟემმა, მაგრამ რა ეშველებათ პაპას და ბინდო!, როდესაც ჩვენ გაგვაშორებენ! ამან კარგათ იცოდა რომ სატუსაღოში ქალს და კაცს ერთათ არ ამწყვდევენ. დჟემმამ ისიც იცოდა, რომ ინგლისში იმისთანა სახლებია, რომელთაც სამუშაო სახლებს უწოდებენ დი იქ ღარიბ ღატაკებს ატუსაღებენ.

გულს ეყრებოდა დჟემმას მწუხარებით და განუყრელათ თვალწინ ესახებოდა თავიანთი მოსისხლე მტრის, ფილიპპე კორრეის, სახე.

— ოხ, შვილო ამოიკვნესა პაპამ, ხედავ ის ბატონი გუშინ

დილას რომ სილა გაჰკარ, იქა ზის! შენ თითონ ხარ ჩვენი უბედურების მიზეზი, შენი გადარეული ხასიათი ერთხელაც არის ამ დღემდინ მიგვიყვანდა!

ამ საყვედურზედ დქემმა გაფითრდა და სირცხვილით თავი ჩაჰკიდა, ეს გრძნობდა რომ საყვედური დაიმსახურა.

ბინდო კაბის ბოლოს აფხრეწდა და ისე წიოდა, რომ დქემმას თავს ბრუ ეხვეოდა და ეგონა რომ მწუხარებით გაგიჟდებოდა!

მსაჯულები თავიანთ შორს მსჯელობდენ, კარრეის სრულიად არ მიუღია მონაწილეობა გადაწყვეტილობაში. ამ ხანებში პოლიცია ძრიელ გაფაციცებით სდევნიდა მაწანწალებს, რადგან ქალაქის გარშემო ბოშების ბანაკი იყო და ქალაქში აუარებელი ქურდობა ხდებოდა და ამის გამოისობით ეპაფანე სანტოც თავის შვილიშვილებით ისე უმანკოთ არ ეჩვენათ, როგორათაც ეს ნამდვილათ იყო; და ამისათვის დიდის მსჯელობის შემდეგ მსაჯულებმა გადუწყვიტეს: მოხუცს, როგორც უსაქმურ მაწანწალას, ერთის თვით სამუშაო სახლში დამწყვდევა და ბინდოს და დქემმას დამწყვდევა თავ-შესაფარში, სადაც გლახა ბავშვები იკვებებიან. მხედველობაში მიიღეს სანტოს ხნიერება და სასჯელი იმით შეუმსუბუქეს, რომ სამუშაო სახლში ძალა არ დაეტანებინათ მუშაობაზედ.

როდესაც დქემმამ მოისმინა მსაჯულების გადაწყვეტილება და მოხუცსაც აუხსნეს რაშიაც იყო ეს გადაწყვეტილება, იმათ ისეთი მწუხარება დაიწყეს, ისეთ ნაირათ იტანჯებოდნენ, რომ ინგლისის მსაჯულებს თავის დღეშიაც არა ენახათ რა ამ გვარი. დარბაისელ და წყნარ დარმუტის მსაჯულებს ეგონათ ესენი გონებაზედ შეირყენენო. დქემმა ძლიეს მოჰგლიჯეს პაპას, ის გაბრაზებული უღერებდა მტრებს თავის პაწაწინა მუშტებს და რადგანაც ყოველი თავისის უბედურების მიზეზათ ფილიპპე ეგონა, იმას დაუყვირა:

— მე შენ სილა გაჭამე გუშინ! მოიცა, უარეს დღეს დაგაყენებ! მე გაგისწორდები, შე ავო, ავაზაკო, უსულო ადამიანო.

აქ პოლიციელმა პირზედ ხელი დააფარა და საჩქაროთ გაიყვანა სამსჯავროდამ.

— მართლა, ამ პატარა კუდიანმა შემოგკრათ თქვენ გუშინ? გაკვირვებით ჰკითხა ფილიპპეს ერთმა მსაჯულთაგანმა.

ფილიპპემ ოდნავ გაიღიმა.

— მართალია, დარბაისლათ უპასუხა იმან, მაგრამ მე ღირსი ვიყავ იმ გვარის დასჯისა.

— იქნება თქვენ გნებავდათ, რომ ჩვენ უფრო სასტიკათ დაგვესაჯა?

— შურის ძიება ყმაწვილთან?! უპასუხა ფილიპპემ. ეგენი შვილები არიან მხურვალე მზისა, ამისათვის ჩვენზე მგრძნობიარენი და მალეც ანჩხლდებიან, სჯობდა შეგვეკრიფა ცოტაოდენი ფული და გაგვესტუმრებინა თავიანთ სამშობლო ნეაპოლში. მაგრამ თქვენ ისე საჩქაროთ დაადგინეთ გადაწყვეტილება, რომ მე ველარაფრის თქმა მოვასწარი. მოხუცი უწყინარი ადამიანია და თითო გროშში რომელსაც იმას აძლევენ დასაშური არ არის იმ მხურვალე სიტყვებისთვის, რომლითაც ის ხალხს ანუგეშებს!

მაგრამ კარრეის ამხანაგები ასე ლმობიერათ არ უყურებდნენ ამ საქმეს და არჩიეს მოხუცის ჩამწყვდევა დარმუტის ციხეში.

ფილიპპე კარრეიც ორი დღის წინათ ამ გვარსავე გადაწყვეტილებას დაადგენდა, ამიტომ რომ სასტიკი და ულმობელი მსაჯული იყო; მაგრამ დღეს იმის გული მოალბო მშვენიერმა და გრძნობიერებით სავსე ქალის სახემ და ამ მაწანწალა ოჯახის ერთმანეთის სიყვარულმა და ერთგულებამ.

ეს ყოველთვის მარტო იყო ბავშობიდან და ამ გვარმა ნათესაურმა სიყვარულმა შური გამოიწვია იმის გულში.

— საშინელებაა იმათი განცალკევება, ფიქრობდა ფილიპპე, საზიზღარია ისევე, როგორც ვარდის ფურცლების გაყრეინება მაშინ, როდესაც ის ამაყათ გაფურჩქნულია მზის სხივებზე.

საღამოზე შინ დაღონებული დაბრუნდა; იმის თვალში ახლა კანონი ულმობელათ გამოისახა; კელავ ამ გვარ აზრს იმის თავში არ გაუვლია.

—

ღამე მოხუცმა როგორც ქურდმა ციხეში გაატარა, ბავშები კი სხვა-და-სხვა თავშესაფარში დაასახლეს, იმ თავშესაფარში, რომლებსაც კეთილი ხალხნი აგებენ გლახა ბალღებისთვის კეთილის განზრახვით.

როცა შვილი-შვილები უნდა გაებარებინათ პაპასთან, ისინი ისე მიეკვრენ იმას, ისეთი სასოწარკვეთილება გამოიჩინეს, რომ სამსჯავროს გადაწყვეტილების აღმსრულებელნიც კი ააღელვეს.

იმ დღიდან, რაც ერთ ზაფხულის დღეს ბინდო დაიბადა ხმელთა შუა ზღვის პირზე და წასდგა, პაწია, წითელი, მოძრავი ჭიასავით თავის დის გაკვირვებულ თვალების წინ, ესენი აღარ გამოორებიან ერთმანეთს, ახლა კი ულმობელათ განაშორეს. იმ თავშესაფარში, სადაც დაასახლეს პატარა ბინდო, ბიჭები ისე დასცინოდენ იმას, ისე აბეზრებდენ თავს, რომ კინალამ გააგიჟეს. ბინდოს მაშინვე გაჰპარსეს მშვენიერი, გრძელი კულულები. დედამ, რომელიც დიდის სიანჩხლის და მწუხარების შემდეგ, სრულიად დამშვიდდა და რაღაც გამოურკვეველს სევდას მიეცა, აბანავეს, თავშესაფარის ფორმის კაბა ჩააცვეს და იმის წითელი ზოლებიანი კაბა და ყელსაბამი წითელი მძივები ერთად შეჰკრეს, ნომერი დაწერეს და დიდ შკაფში შეინახეს. ყველა ამას დედამ უძრავათ უსიტყვოთ ემორჩილებოდა, მხოლოთ იმის შავი თვალები ცეცხლებით ივსებოდა. არც ერთი პასუხი, არც ერთი სიტყვა არ წარმოთქმულა იმის მაგრათ მოჭერილის ბაგიდგან, თუმცა გარშემო მრავალი კითხვებით მიმართავდენ ხოლმე იმას თავშესაფარის გამგენი.

გამგე ქალები შეჩვეული იყვენ ყოველ გვარი ბავშების ნახვას და მორჯულებას: ანჩხლებისაც, მორცხვებისაც, გარყვნილებისაც; მაგრამ სრული სიჩუმე დედამასი აკვირვებდა იმათ და კიდეც აწუხებდა; ის საცოდავათ გამოიყურებოდა თავის ცუდათ შეკერილი და უშნო ფერის თავშესაფარის კაბიდან. როცა დედამ დასვეს გრძელ სკამზე სხვა ბავშებთან ერთათ პურის საჭმელათ, იმის ფერმკრთალი, ტანჯული სახე, დიდრონი აღგზნებული თვალები, ისე არჩევდენ იმას

დანარჩენ თავშესაფარის ბავშებში, როგორც ნახატი ნიჭიერის მხატვრისა ერჩევა საბაზროთ ნათხუპნ სურათებში.

დეემმამ არ შეჭამა არც ერთი ლუკმა, არ ამოიღო არც ერთი ხმა და არც ერთხელ არ მიჰხედა თავის გარშემო მსხდომ ბავშებს.

— ოჰ, პაპა ჩემო! ოჰ, ბინდო, ბინდო! კვნესოდა იმის გული, მაგრამ ბაგიდან კი არ წარმოთქმულა არც ერთი კვნესა და საყვედური! პატარა ბინდო კი თავის სატუსაღოში ტიროდა, მაგრამ მაინც შეჭამა თავის კერძი, თუმცა ბევრი მდუღარებაც შეატანა თან. იმასაც ნაცრისფერი ტანთსაცმელი ეცვა და ისევე აუშნოებდა როგორც დანარჩენ მის ამხანაგებს, რომელნიც ერთათ ეწეოდენ და აწვალებდენ უბედურს ახალ მისულს.

ბინდო საღამოზე ადრე დააწვინეს საერთო დორტუარში; დეემმაც, რასაკვირველია, საერთო საწოლ ოთახში ერთს ხმელ რკინის კრაოტზე დააწვინეს. იმის კრაოტი უკანასკნელი იყო რიგში და კედელთან იდგა, დეემმა დაწვა და პირი კედლისკენ მიიქცია; ზედამხედველები დაშოშმინდენ, ეგონათ ეს ეს არის თავის ხვედრს დაემორჩილაო.

მალე სანათი ჩააქრეს და ბავშები მიეცენ ტკბილს საოცნებო ზმანებას.

მაგრამ დეემმას თვალიც არ მოუხუჭნია; იმის გული ისე სცემდა თითქო ეს არის ბუდიდგან გადმოხტომას ეპირებაო. ის კბილებით ჰგლეჯდა თავის თავსადებს, რომ მწუხარებაა თავი არ წაერთმია და ხმა არ ამოეღო. ნეტა კიდევ ვნახამ ჩემ საწყალ პაპას? კვნესოდა ის. ბინდო იქნება ვნახო კიდევ, მაგრამ პაპას კი ვეღარ, ვეღარ ვნახავ! ის მოხუცია და შეურაცხყოფას ვეღარ აიტანს!

დეემმას ახლო ფანჯარა იყო, იმის სტავნა მიხურული არ იყო და ის კარგათ ხედავდა, როგორ საღამოს ბინდი შეიცვალა ღამის წყვდიადით, შემდეგ როგორ ამოაშუქა მთვარემ. ის გულის კანკალით ელოდა ყველას დაძინებას და ჰფიქრობდა როგორმე მოეხერხებინა ფანჯრიდან გაქცევა. ზედამხედველ ქალს ამ ოთახშივე

ეძინა, მხოლოთ დჟემმას საწოლის მეორე ბოლოში, გარშემო სრული სიჩუმე იყო, წყნარი დამშვიდებული ფშვინვა ამტკიცებდა რომ ყველანი ტკბილ ძილში იყვენ, დჟემმა ლოგინში წამოჯდა; აქეთ-იქით იყურებოდა, ყურს უკდებდა და რომ დარწმუნდა სუყველას სძინავსო, ნელა, ნელა წამოდგა და ფანჯარასთან მიიპარა. ფანჯარა ოდნავ ღია იყო, უთუოთ ჰაერის სამუშაოთ დაეტოვებინათ გაღებული.

მისელის უმალ სუფთა, ბალახის სუნით გატენილმა ჰაერძა შემოჰკრა პატარა გოგოს, ამან ნელა-ნელა სულ გააღო ნახევარი ფანჯარა და გადიხედა, დედა-მიწა ძრიელ, ძრიელ დაბლა იყო, მაგრამ დჟემმამ იფიქრა რომ გაქცევა მაინც შესაძლებელი იყო.

ის მიბრუნდა თავის ლოგინთან, ჩაიცვა საზიზღარი ფორმის კაბა, ფეხებზე ზეწრები დაიხვია, რომ გადახტომაზე არ დაშავებოდა. — თუ არავინ გაიღვიძებს მე მოვასწრებ თავის დახწევას: ფანჯრის მახლობლათ წვიმის წყლის მილი ჩადის, მე ძრიელ კარგათ გავარჩიე.

პატარა კიდევ შეიცადა, რომ დარწმუნებულიყო იმაში, ყველას ეძინა თუ არა; უცებ პატარა სტოლზედ, ლამის ფარანთან, დაინახა წუმწუმის ყუთი, თვალები სიხარულით აენთო, საჩქაროთ წასწვდა, აიღო და უბეში შეიდო. მერე იმ თავგამომეტებით, რომელსაც მხოლოთ უიმედობა სძრავს კაცის გულში, ფანჯარაზე ავიდა, ნახევრამდის გადაეკიდა და დიდის გაჭირვებით ხელი წაავლო წყლის ლულას და იწყო ჩაცურება ქვემოთ, მაგრამ სად თავდებოდა ის „ქვემოთი“ თითონაც არ იცოდა. ქვემოთ სრული წყვდიადი იყო.

ქვემოთ რომ დჟემმას მდინარე დახვედროდა და შიგ დამხრჩვალიყო, ეს იმას ბევრით არჩევდა, მანამ მარტოთ-მარტო ყოფნას და მასთან გამომწყვდეულ ცხოვრებას.

ფანჯარა ოც ადლზე მაღლა ყოფილიყო დედამიწაზე, წყლის მილი კარგა გრძელი აღმოჩნდა, ასე რომ დჟემმას ჩახტომა არ გაუჭირდა, თუმცა ხელები რკინაზე მთლათ გადიყვლიფა და მიწაზე დაცემის დროსაც ფეხები და გული ძრიელ დაიშაკა.

მისი გაქცევა ვერავინ გაიგო; ის უვნებლათ დეეცა დედამიწაზე სწორეთ იმ დროს, როდესაც ქალაქის საათმა ათი დაჰკრა.

პირველში ის ტკივილისაგან გარეტიანებული ეგდო დედა-მიწაზე, მაგრამ გონს მალე მოვიდა, ძლივ-ძლივობით წამოდგა და აქეთ იქით მიიხედ-მოიხედა. ეს არე-მარე ამან კარგათ იცოდა; დეემმა და ბინდო შხირათ დადიოდენ ხოლმე აქაურ ბაღებში ვაშლების სათხოვნელათ, ხან-და-ხან ნავით ცურვასაც სთხოვდენ ხოლმე, წყლის ნაპირას მდგომ მენავეებს.

ბრწყინვალე მთვარის შუქზე დეემმამ კარგათ გაარჩია მდინარე დარტა, ქარის წისქვილები, ზოგიერთა ნაცნობი დიდრონი ხეები და დარწმუნდა, რომ შემცდარი არ იყო ალაგის მდებარეობაში.

დეემმამ ერთი ჯიდეე შეხედა თავშესაფარს; ვაქების განყოფილებაში გამომწყვდეული იყო ბინდო და ამ აზრმა საწყალ გოგოს გული სევდით აუვსო. შემდეგ საჩქაროთ გაშორდა იმ ალაგს და ჩქარის ნაბიჯით გასწია გადაწყვეტილ მიზნისკენ, იმან კარგათ იცოდა, რომ იქამდის კარგა დიდი მანძილი იყო და მეშურებოდა.

— ავი, ბოროტი! ბუტბუტებდა თავისთვის და კბილებს უჭერდა სიბრაზით. ის ყურს არ უგდებდა ციცინათელებს, რომლებიც იმას განსაკუთრებით უყვარდა, არ ესმოდა ბულბულის სტვენა, რომელიც ბუჩქებში მომხიბლავათ გაისმოდა, რადესაც გული ბოროტებით სავსეა მაშინ სულს არ ესმის ბუნების მშვენიერება. ის სულ მირბოდა და მირბოდა, ათასში ერთხელ თუ შედგებოდა, ისიც იმისთვის, რომ გაეშინჯა ისევ უბეში მაქვს წუმწუმა თუ არაო. გრძელი კაბა ფეხებში ედებოდა, მაგრამ მაინც დაუყონებლივ მირბოდა, მირბოდა იმიტომ, რომ თვალში ამოღებული ძიზნისთვის მალე მიეღწია.

ამან კარგათ იცოდა, რომ არჩეული ბილიკი უთუოთ კორრეის სახლამდის მიიყვანდა. დეემმას ბევრჯელ შეუხედნია იმის გალავანში, ბევრჯელ გაკვირვებით გაუშინჯავს იმისი მსუქანი ძროხები, ცხვრები და სხვა რჩეული საქონელი, კარგათ დაუნახავს იმისი სახლის დიდრონი ფანჯრები, ვარდის კლერტოებით შეხვეული და შემკუ-

ლი. ბევრჯელ შურით ავსილა იმისი ბაღის მშვენიერ ვაშლების დანახვაზე და მწიფე, წითლათ მოჭახჭახე ალუბლებზე. დქემმამ არ იცოდა რამდენათ შორს იყო თავშესაფარზე კორრეის სახლი, მაგრამ ის კი დანამდვილებით იცოდა, რომ უთუოთ ეს ბილიკი იმ სახლამდის მიიყვანდა; ეს არ ჰგრძნობდა არც შიშს და არც დაღალვას. ამის გულში გამეფებულ იყო მხოლოთ სურვილი შურის ძიებისა და სხვას, მის გარეშე, არაფერს ამჩნევდა. ასე საათი—საათნახევარი ირბინა დქემამ და ბოლოს დაინახა წითელი კრამიტით ბატონის სახლი და მის გარეშემო მრავალი წერილი საოჯახო შენობანი, ჩალით დახურული. ეს საჩქაროთ გადაძერა პატარა შესავალ ხის კარებზე და წამზე ყვავილების ბაღჩაში გაჩნდა. ძვირფასი, მშვენიერი ყვავილების სუნი სუნნელოვნებით ავსებდენ გარეშემოს. მთვარის შუქზე ცხოველათ ჩანდა კორრეის ძველებური სადგური. დქემმამ ყვავილის ბახჩიდან კარი შეაღო და დიდ ხეხილის ბაღში შეავიდა. აქ ზედაც არ შეხვედა ძვირფას მცენარეებს, მხოლოთ სახლს დაუწყო თვალიერება და მალე გაარჩია, რომ ერთ ალაგას კრამიტი აყრილი იყო და ხის სტრაფილები მოჩანდა, მან მოიაზრა, რომ ხეზე აცოცებულიყო, იმ აყრილ კრამიტებიდან ადვილად შეაგდებდა სახლის სახურავ ქვეშ ანთებულ წუმწუმას. ის შედგა ხეზე, უბიდან გამოიღო წუმწუმა, საჩქაროთ გაჰკრა და ის იყო უნდა შეეგდო სახურავ ქვეშ, რომ საიდანღაც გაჩნდა საშინელი დიდი შავი ძაღლი, სწვდა დქემმას და მიწაზე ჩამოაგდო; ძაღლს შეეძლო ლუკმა ლუკმათ დეეგლიჯა პატარა ქალი, მაგრამ დიდი ძაღლები გრძნობენ თავის ძალას და თავის დღეში არ ერჩიან პატარა ბავშებს.

— მილორდ! რა არის მანდ? დაუძახა ძაღლს კორრეომ, რომელიც დქემმას ძირს დაცემის ხმაურობაზე კარში გამოვიდა.

ძაღლმა მიატოვა ქალი და თავის პატრონთან მიირბინა. ფილიპპემ დაინახა ძირს გაშხლარტული დქემმა, რომლის ხელში ანთებული წუმწუმის ყუთი ისევ ბოლავდა.

— ღმერთო დამიფარე! შენ მოხველ ჩემი სახლის დასაწვე-

ლათ? შეჰყვირა იმან და საჩქაროთ აიყვანა მიწიდან დეემმა, რომელ-
მაც გადმოვარდნის დროს თავი დაჰკრა რაღასაც და ეხლა გაბნედი-
ლი იყო; ფილიპემ გამოგლიჯა მაგრათ მოჭერილი ხელიდან წუმწუმა
და ფეხებით გასრისა. როდესაც ეს 'ბიში თავიდან მოიშორა ხელ-
ში აიყვანა გულწასული ქალი და სახლში შეიტანა.

— ეს თავშესაფარიდან გამოქცეულა! სთქვა იმან, როდესაც
დეემმაზე შენიშნა გრძელი, ნაცრის ფერი ჩითის კაბა. შემდეგ
ფრთხილათ დააწვინა მდივანზე და დაუძახა თავის სახლის მმართველ
დედაკაცს, რომლის წითელი, მსუქანი ლოყები ძრიელ მიაგვანდენ
კორრეის ბაღში დამწიფებულ ვაშლებს.

— მილორდმა წააქცია ეს პატარა ქალი, რომელიც წაქცევის
დროს რაღაზედაც დეეცა, ვერ დეეხმარებით, მერი? ეს თავშესაფა-
რიდან გამოქცეულა,—უთხრა კეთილ ბებერ დედაკაცს და ანთე-
ბულ წუმწუმაზე კი ხმა აღარ ამოიღო.

დედაკაცის უბრალო დახმარებამ დეემმა მალე მოიყვანა გრძნო-
ბაზე, იმან გაახილა თავის მშვენიერი, დიდრონი წყლიანი თვალები,
ლამპის შუქი შიგ თვალებში მოხვდა.

— წუმწუმა, წუმწუმა! ბუტბუტებდა ის იტალიანურათ, ლამპის
შუქი ეჩვენებოდა გაძრიელებულ ცეცხლის შუქად.

— ეს ხომ ის გოგოა, უცხოელი, რომელიც სული წმიდობის
შემდეგ სულ აქა იქ დაეხეტება თავის პაპით და ძმით! სთქვა დედა-
კაცმა გაკვირვებით. ამასწინათ ამის ძმას საქათმეში მოვასწარ და
კარგა გავცოცხე კიდეც. მაგრამ ამობენ დღეს ისინი ქალაქში გაა-
სამართლეს და ციხეში ჩასხესო?

— მართალია, მოკლეთ მიუგო კორრეიმ.—ეტყობა გამოქცე-
ულა. ახლა წადით და ოთახი მოუმზადეთ ლამის გასათევათ, ეს დღეს
ვერ შესძლებს უკან დაბრუნებას.

დეემმა გონს მოვიდა, მაგრამ მაინც ნათლათ ვერ წარმოედგინა
თუ სად იყო.

— კუხნასთან სადმე? ბატონო! ანნასთან დავაწვენ.

— არა, არა! ცალკე ოთახი მოუმზადეთ; ეს ბავში ძლიერ უბედური ბავშია, შებრალება უნდა ვიქონიოთ იმისი, მერი.

— მაგის პატარა ძმა საქათმეში და...

— ძმა ეს ხომ არაა, გააწყვეტინა კორრეიმ დედაკაცს. — ცოტას ხნით დაგვტოვოთ ერთად.

თუმცა მოსამსახურემ იცოდა, რომ ბატონი ძლიერ კეთილი კაცი იყო, მაგრამ ისიც ძლიერ კარგათ იცოდა, რომ თავის სიტყვის ასრულება უყვარდა და ამისათვის საჩქაროთ გავიდა ბძანების ასასრულებლათ.

ფილიპე კორრეი დჟემმასთან დარჩა, დიდი შავი ძაღლიც იმის გვერდით იჯდა და დაკვირვებით ათვალიერებდა პატარა ავაზაკს.

— შენ მოხველ ჩემი სახლის დასაწველათ? ჰკითხა იმას ფილიპემ და თვალებში ჩააშტერდა.

დჟემმამ კითხვა გაიგო, მაგრამ პასუხი არ მისცა. ამას ახლა კარგათ გაახსენდა რათაც მოვიდა აქ, მიხვდა რომ ვერ აასრულა თავის განზრახვა და სამაგიეროთ ჩაუვარდა ხელში იმ კაცს, რომელიც ისე ეზიზღებოდა.

— მე შენ მოგასწარ დანაშაულზე და თუ ჩემს ძაღლს დროზე არ ჩამოეგდე უთუოთ აგისრულდებოდა შენი საზიზღარი განზრახვა; ძველი ხე ისე იწვის, როგორც კვარი! ახლა მითხარ შენ რას მერჩოდი, რისთვის გინდოდა მოგვეცა ჩემთვის აგრეთი დიდი ზიანი?

დჟემმა ისევ ჩუმათ იყო. წარბები აეწრიხა, თვალები მკაცრათ გამოიყურებოდენ, ის წამოჯდა დივანზე, დეეყრდო ნიდაყეს და დაშტერებით დაუწყო კორრეის მზერა.

— იქნება შენ არ იცი, რომ ცეცხლის წამკიდებელს ისევე სჯიან, როგორც კაცის მკვლელს. ჩემს პირველსავე სიტყვაზე შენ რამდენიმე წლით ჩაქსვამენ ციხეში. ახლა გეკითხები შენ, გიბძანებ უთუოთ მომიგო პასუხი: რისთვის მსჯიდი აგრე სასტიკათ?

დჟემმა გულდასმით უსმენდა კორრეის, მიხვდა ნათქვამის აზრს და გრძნობდა, რომ უთუოთ პასუხი უნდა მიეცა.

— მე მოველ... მოველ... დიახ მოველ სახლის დასაწველათ! მე დილას დაგემუქრეთ თქვენ. მე თქვენ შემოგკარით იმიტომ, რომ თქვენ ღირსი იყავით იმ სილისა, თქვენ მითხარით რომ მე ურცხვი ვარ; ამისათვის თქვენ მიჩიელეთ, ციხეში ჩასვით ავაზაკივით ჩემი ძვირფასი პაპა, პატიოსანი პაპაჩემი, რომელიც ბინდოსაც კი სჯის ხოლმე ვაშლის ქურდობისათვის, თქვენ გამაშორეთ ბინდოს და დაამწყვდიეთ ის საცოდავი სადღაც საშინელ ალაგას. იქ გაგვკრიჭეს, გვაბანეს; მე გამოვიქეცი, ფანჯრიდან გადავხტი, იქვე წუმწუმები იდო და იმის დანახვაზე თქვენი სახლის დაწვა გავიფიქრე, მე გაგონილი მქონდა, რომ თქვენ ძლიერ გიყვართ თქვენი სახლი. თუ თქვენ გგონიათ რომ ჩემი საქციელი ცუდია, თქვენიც არ არის კარგი. ავო, ბოროტო, სულდაბალო ადამიანო! თქვენ დაამწყვდიეთ ოთხმოცი წლის პაპა ციხეში, ჩვენ ველარ ვნახამთ ერთმანეთს! მაგრამ მანამ თქვენ ხელახლათ წამიყვანდეთ თავშესაფარში, მე თავს დავიხრჩობ მდინარეში, თავს დავაგლეჯინებ თქვენ ძაღლს, ან.... და აქ ისეთი საშინელი ქვითინი და მდულარება წასქდა საცოდავ გოგოს, რომ კორრეის გული მწუხარებით აევსო.

— საწყალო ჩემო პატარავ! შენ ახლა ისეთი დანაშაული გინდოდა ჩაგედინა, რომ ღმერთი არას გზით არ გაპატიებდა მაგ დიდ ცოდოს! ცეცხლით ხუმრობა საშინელებაა! მაგრამ გამიგონე ახლა რა გითხრა მე შენ:

— მართალია მე მსაჯული ვარ და დღეს შენ განსამართლებელ მსჯელთა შუა ვიყავი, მაგრამ, გარწმუნებ, თვით განსამართლებაში მონაწილეობა არ მიმიღია, პირ იქით მე ძრიელ უსამართლოთ მეჩვენა თქვენი სასჯელის გაწესება და ვცდილობდი მის შემსუბუქებას, მაგრამ ვერას გავხდი. მე ვიცი რომ პაპაშენის ოინები სულ უბრალო, უვნებელი საქციელია, მაგრამ მაინც კანონით აღკრძალულია და ამისათვის ქალაქის თავი ულმობელი იყო და თხოულობდა დასჯას. ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, გარწმუნებ, ჩემო მშვენიერო, რომ მე ეგრე სასტიკათ არ მოვექცეოდი პაპაშენს, მე

ვეცდებოდი მოგეხერხებინა როგორმე, რომ სამშობლოში გაგვესტუმრებინეთ სუყველანი. ხვალ ვაპირებდი მოვლაპარაკებოდი იტალიის კონსულს პორტსმუტში იმაზე, რომ თქვენ გაეგზავნეთ თქვენ ქვეყანაში და გზის ხარჯის გადახდას მე ვკუსრულობდი.

კორრეი გაჩუმდა პატარა ხანს. დქემმა უყურებდა იმას გაბრწყინვებულის თვალებით. ლოყები ენთებოდა, გაკვირვებული იყო და ღარცხვენილი გაგონილით.

— ახლა შენ სუყველაფერი გააფუჭე შენის საქციელით. აბა როგორღა ვითხოვო თავისუფლება ავაზაკისთვის? ხვალ მებაღე ნახავს დამწვარ წუმწუმებს და მაშინვე მიხვდება, რაშიაც არის საქმე.

დქემმა გაფითრდა და ტუჩებმა კანკალი დაუწყო.

— დამნაშავე მარტო მე ვარ! მწუხარებით სთქვა იმან. არც პაპას და არც ბინდოს ბრალი არა აქვთ თქვენი სახლის დაწვის სურვილში, არ შეიძლება მარტო მე დამსაჯოთ და ისინი კი გაანთავისუფლოთ? თუ აღმითქვამთ იმათ განთავისუფლებას, მე სიამოვნებით დავბრუნდები თავშესაფარში და პირობას გაძლევთ, რომ ფიქრათაც ალარ გავიტარებ იქიდან გაქცევას.

— ჩემო ძვირფასო, უთხრა ფილიპემ, მე მაგდენი ძალა არა მაქვს; შენ საშიშარი და ამპარტავანი, გარეული კატა ხარ, შენი დამწყვდევა ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ მგონია, რომ შენ თავშესაფარში ვერ გაისაძლისებ, რაც უნდა კარგი და მშვენიერი იყოს ის. ამისათვის მოდი მე და შენ შეეკრათ პირობა: შენ აღმითქვი რომ მოიშლი შენ სიავკაცეს და მე სამაგიეროთ განგათავისუფლებთ სამიევს და მშვენიერის გემით გაგისტუმრებთ იტალიაში. აბა რას იტყვი ამაზე?

ამ სიტყვებზე უფრო საჩქაროთ, მანამ მაშინ, როდესაც უნაგირზე შეუხტა და სილა გაჰკრა, მივარდა დქემმა კორრეის, მოეხვია ყელზე და გულიანათ ჩაჰკოცნა.

— ოხ თქვენ კეთილი ყოფილხართ! ბუტბუტებდა დქემა.—მე

თქვენ ახლა მიყვარხართ, მიყვარხართ, ისე ძრიელ, როგორც მეზიზღებოდით ამას წინათ!

შემდეგ ტკბილათ დაიძინა იმ ჭერქვეშ, რომელიც ამ რამდენიმე საათის წინათ უნდოდა გადაებუგა; დილით იმას ისეთი გემრიელი საუზმე მიერთვა, რომლისთანაც თავის დღეში არ ეჭამა. მილორდი მიუახლოვდა და მეგობრულათ თავი დასდო თოვლივით სპეტაკ—საბანზე, რომლითაც დედემა იყო დახურული. ძაღლი და ბავში მალე დამეგობრდენ და ძმურათ გაიყვეს გემრიელი საუზმე.

ფილიპე კორრეიმ თავის სიტყვა აასრულა, დიდის მეცადინეობით, რამდენიმე დღის შემდეგ გაანთავისუფლებინა ეპიფანე სანტო და მისი შვილი-შვილი ბინდო და შემდეგ აუღო ბილეთები იტალიაში გასამგზავრებელ ნახშირით დატვირთულ გემზე.

მანამ კორრეი ამ ცდაში და საქმეში იყო, დედემა მის სახლის მმართველ მერის განკარგულების ქვეშ იმყოფებოდა და ამისათვის შხირათ ხედავდა ყმაწვილ სახლისპატრონს. იმას ჩააცვეს სუფთა ჩითის კაბა და ეს თავისუფლათ დახტოდა ბაღში მილორდთან და სხვა ძაღლებთან ერთათ.

როდესაც ფილიპემ განუცხადა, რომ სუყველაფერი აასრულა და დედემა გემზე შეხვდება თავის პაპას და ძმას, ქალს მგრძნობიარე სახე გაუფითრდა და ცრემლებით საესე თვალებით უთხრა:

— არ შეიძლება რომ აქ დაერჩეთ? არ შეიძლება? ქვითინებდა დედემა. პაპას ძლიერ ეშინიან ზღვის ავათმყოფობისა, ბინდოს დაენანება აქაური დამწიფებული ვაშლები და მე კი ვერ შეეძლებ თქვენ გაშორებას!

— მაშ გიყვარვარ, ცოტათი მაინც გიყვარვარ? დაეკითხა ფილიპე.

— ძლიერ მიყვარხართ, ძლიერ! თქვენ ისეთი კეთილი ხართ და მე კი ისეთი ბოროტი ვიყავ!

ფილიპე ცოტათი ჩაფიქრდა და შემდეგ სთქვა:

— მაშ კარგი, მოვახერხებ მაგასაც. მართალია, პაპა შენი ვე-

ლარ აიტანს მაგოდენა მგზავრობას; მე აქ, ჭალაში მაქვს პატარა ქოხი, იქ დავასახლებ იმას. მხოლოთ იმ პირობით ჩემო დეემმა, რომ შენ ისწავლი ყველას, რასაც კი მე მოვინდომებ, შენ დაიჯერებ ყველაფერს, რასაც ჩაგაგონებ და თავის დღეში აღარ ჩაიდენ იმ თავხედობას და ჭირვეულობას, რასაც აქამდის სჩადიოდი!

— ო, მე ყოველთვის შეეისმენ ყველას, რასაც კი შენ მიბძანებ, შეჰყვირა დეემმამ ალტაცებით და კიდევ კისერზე მოეხვია და მაგრა აკოცა. როცა თქვენ გხედავთ, მე სულ მავიწყდება. რომ აქ მზე ისე ცხოელათ არ ანათებს, როგორც ჩემ ქვეყანაში და ბინდო კი ამბობს, რომ აქაური ვაშლები უფრო გემრიელია, ვიდრე ჩვენ ქვეყანაში აპელსინი და ყურძენიო?

— ძრიელ კარგი იქნებოდა, რომ შენც აგრე გეფიქრა, რადგან დღეის იქით სამუდამოთ მოგიხდება ვაშლების მხარეში ცხოვრება, ღიმილით უთხრა ფილიპემ დეემმას.

ასე და ამ რიგათ იტალიელები დარჩნენ. გავარა რამდენიმე წელმა. დეემმა გაიზარდა, დაქალდა და უფრო მშვენიერი გახდა. ფილიპე კორრეიმ შეირთო ცოლათ და ის გახდა ქალბატონათ მილორდისა. ის ყოველთვის იმ აზრისაა, რომ აქაური ვაშლები უფრო გემრიელია აპელსინზე და ფიქრობს ამ გვარათ იმიტომ, რომ ბეღნიერია.

ეკ. გაბაშვილისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრამის ლექსი.

(ხალხური) *)

ბრამ იყო ასი წლისა,
იმას შვილი ენატრება,
დალოცვილი ქრისტე ღმერთი
კიდევ მგზაურათ ეჩვენება.
— ამდენი შენი ცხოვრება
არ ვიცი ვიღას დარჩება,
სუეველაფერი ბევრი გაქვს,
მაგრამ შვილი გენატრება.
ეს რომ აბრამმა გაიგო,
დედამიწას დაესკვნება:
— ნეტავ შვილი ვაჩნდებოდეს
შვიდ წელს საღმოოთ გაიზდება.
აბრამს ვაჟი გაუჩინა
უკეთესი რა იქნება.
— შვიდ წელიწადს შენთვის იყოს,
მერე საღვთოთ გაიზდება.
შვიდი წლისა რომ შეიქმნა,
თვის დედაკაცს გაუტუდება:

*) „კრებული“ № XII.

— დედაკაცო! დედაკაცო!
ე შვილი რაღათ გვეზდება,
შვიდ წელიწადს ჩვენთვინ იყო
ახლა საღვთოთ დაიკვლება.
დედას ელდა გულზე ეცა
ჯავრით კრიჭა არ ეხსნება,
დედა წუხს და ჰირს იკაწრავს
დღე-ღამ ტირილითა დნება.
— ეგ რომ საღვთოთ დაიკლასო,
ხეტა ჩვენ რაღა დაგვრჩება?
— არ იქნება, დედაკაცო!
ღვთის ჰირობა არ გატუდება.
სინას მთაზე რომ შევიდენ,
ეს ისაკი ეუბნება:
— მამაჩემო! მამაჩემო!
საძღვთოს თავი არ უჩნდება?
ჩვენ აქ ვიცდით, რას ვუუურებთ,
ქვაბი დულს და წყალი შრება,
დახედე ჩვენი აბრაამი
თურმე დანას ელესება.
—მამაჩემო რაღაც იცი,
რატომ ჰირად არ გეთქმება?
— რაღა გითხრა, რა ვქნა, შვილო,
სისხლი შრება, გული ჯკნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგკლა, აბა როგორ დაგკლა,
შვილი ძლიერ მენანება.
—უნდა დამკლა, მამაჩემო,
თორემ უფალს ეწყინება;
მაგრათ შემკარ, მამაჩემო,
საძრაობა არ მექნება,
კალთას სისხლი არ მოგეცხოს,
სამღვთოობა წაგიხდება!..
აბრამ გადასწევს ქოჩორსა,
ელში დანა მიესვლება;
დანა მაგრათ გამოუსვა,
დანას ჰირი არ ეჭრება.

—

შვიდჯერ იჭექა შვიდმა ცამ,
ზედ ვარსკვლავი გადიერება,
გადმოხედა ქრისტე ღმერთმა:
დახე აბრამ რასა შვრება;
ერთი ცხვარი გადმოჭკიდა
ათას ფერათ აუვავდება!
—ეს დაკალი, ეგ გაუშვი,
შვილი ფეხზე დაგიდგება.
ღვთის ვედრება—საძსახური
აგრე კარგათ მოგიხდება!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანტვრეული დედოფალა.

(ამბავი გრიგოროეიჩისა.)

ატარა, ღარიბ, სუფთათ დაკრიალებულ ოთახში, ასანთის წინ ზის წელში მოხრილი ქვრივი დედაკაცი და გაჩქარებით ჭკერავს. მის ლამაზ ჰირისახეს რაღაც მოწყენილობა და კაეშანი ეტყობა. მის მუდმივ, აუტანელ შრომა-ჯაფას დიდი ხანია თავისი დაღი დაუსვამს და უდროოთ დაუჭკნია ქვრივის შვენიერი სახე.

საბრალოს ტანჯვა-წვალების ცხოვრება ჭქონდა. მთელი სიცოცხლე ლუკმა ჰურის ძებნას შესწირა და არც მომავალი უქადდა უკეთესს.

იგი დრო გამოშვებით თვალს აშორებდა საკერავს და იქვე ახლო მეოფ თავის ბავშს გადაჭხედავდა ხოლმე, რომელიც თავისთვის დათამაშობდა. ჰატარა ბავში ისე წაგავდა დედას, რომ ჰირწავარდნილი ის გეჩვენებოდათ.

გაჭირვება-სიღატაკეს რასაკვრველია თავისი დაღი დაესვა საბრალო ბავშისთვის, მაგრამ დედა ისეთ ნაირათ

უვლიდა, ისეთ ნაირათ ტანთ აცმევდა, ულოლიავებდა ბავშს, რომ იგი ვერც კი ჰგრძნობდა ამ სიდატაკეს.

მწარე ფიქრები აღეძროდა ხოლმე დედას ბავშის დანახვაზე. რა მოელის საბრალოს, ნუ თუ ამ გვარიგვე სიღარიბე-სიღატაკე? ან თუ იქნება უარესიც—მწუხარება, ტანჯვა, და ბოლოს სიღატაკისაგან ულმობელი სიკვდილი? არა, ეს ყოვლად შეუძლებელია.

„არა, სანამ ცოცხალი ვარ, ისე გავიჭირვებ საქმეს, რომ იქამდის არ მივიყვან... სანამ ცოცხალი ვარ... მაგრამ უცებ რომ ფეხი გადმიბრუნდეს... საშინელმა აზრმა გაურბინა თავში საბრალოს,—თვალწინ წარმოუდგა სიკვდილი. მერე რომ მოვკვდე რა მოუვა ჩემ საბრალოს... ჩემ მოვარეს, ანგელოზს...

თავი უფრო ჩაქინდრა. თვალებში ცრემლი მოუვიდა.

— დედილო, მვირათ ჭლირს ეს დედოფალა?—მიუბრუნდა ბავში დედას და მიუთითა იქვე მდებარე დედოფალაზე.

— მვირია, შვილო...

— ტანისამოსი, რომელსაც შენ ახლა ამ დედოფალას უკერავ, ისიც მვირია?

— ეს კიდევ უფრო მაგაზე მვირფასია... აი, ახლა ამ დედოფალას ტანისამოსს რომ შევუკერავ, წავუღებ ვ-ტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონს, ავიღებ ფულებს და სადღესასწაულოთ ახალ რამე სათამაშოს გიყიდი შენც.

— რათ უნდა დედილო, დედოფალას ამდენი ტანსაცმელი?

— ამითი უფრო კარგათ ისიამოვნებს და ითამაშებს ის ბავში, ვისაც ამას აჩუქებენ საახალწლოთ.

— მე არც კი მაქვს მაგდენი ტანისამოსი... დედოფალას ჩემზე მეტი ტანისამოსი ექნება!.. მოწყენით ჩაილაპარაკა ბავშმა.—ალბათ მალიან მდიდარია მაგის პატრონი!..

— დიახაც რომ მდიდარია შვილო,—დაემოწმა დედა.

— რატომ ყველანი მდიდარნი არ არიან დედილო? აი, ჩვენ ღარიბები რათა ვართ...

დედას ეძ̆ელებოდა პასუხის მიცემა და არ იცოდა რა ეთქვა.

— ვინც ბევრსა მუშაობს ცხოვრებაც იმას აქვს!

— შენ რატომ არ ხარ, დედილო, მდიდარი? შენც ხომ ბევრს მუშაობ, მთელი დღე და ღამე სულ მუშაობ?

— ასეთი უბრალო მუშაობით, საყვარელო, სიმდიდრეს ვერ შეიძენ,—მწარეთ ჩაილაპარაკა დედამ.

ბავში ცოტა ხანს თავისი გონიერი თვალებით დაკვირდა დედის სახეს და, რა შეამჩნია სევდა, ერთხანათ შეჩერდა.

— არ შეიძლება მდიდრებმა მისცენ ღარიბებს და ისინიც შემლებულნი გახადონ, ნუ თუ არ შეუძლიათ...

— ღარიბები მეტათ ბევრნი არიან—ყველას როგორ უშველონ.

— ყველას რათა, ზოგიერთს მაინც...

— აკი შველიან კიდეც, უმაგისობა როგორ შეიძლება.

— ამ დღესასწაულებში დედა ამ დედოფალას პატრონს შობის ხე ექნება?

— მაგას რაღა თქმა უნდა, შვილო, ამ დედოფალასთან მრავალ სხვა და სხვა სათამაშოებს აჩუქებენ იმ ბავშს.

— მე კი მარტო ეს დედოფალაც მეყოფა... რა შვენიერია: ხელს რომ მოუჭერ თვალებსა ჭხუჭავს, თითქოს სძინავსო... თმა რა შვენიერი ქერა აქვს, სწორეთ ოქროს კულულებია.

ბავში გაცოცხლდა, ალერსიანათ დაუწყო ცქერა დედოფალას და თან გულში ადარებდა ნაჯრებისაგან გაკეთებულ თავის დედოფალას. აქ ვეღარ მოითმინა ძალაუნებურათ ხელი გაიწვდინა და ხელში აიღო შვენიერი დედოფალა.

— ჩემო გვრიტო, გაუფთხილდი, არ გატეხო.

— არა, დედილო, არ გავტეხ. მე მხოლოთ აქ, მაგიდაზე მინდა დავსვა ქალბატონსავით; აი, მეც მოვირთვები შლაპით. თქვა ბავშმა და საჩქაროთ დედოფალა კედელზე მიაეუდა.

— გაუფთხილდი არ გადმოვარდეს!

— არა...

მაგრამ ბავშმა ვერც კი მოასწრო ამის თქმა, რომ დედოფალა წამოიქცა, დაეცა და გატეხა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ჭქენი! — დაიუვირა დედამ, და ეცა დედოფალას ასაღებათ — გატეხილა! კისერზე მთლათ გადამტვრეულა, თავს მლიეს ლა იმაგრებს. რა უნდა ვქნათ ახლა?..

საბრალო დედა სასოწარკვეთილებას მიეცა. რამდენმა შრომამ ჩაუარა ახლა ტუილათ! დედოფალა მეირფასია და მის სამაგიეროს საეიდელათ მთელი საკეთილდღეოთ შენახული ფული დასჭირდება.

არა ნაკლებ შეშინდა ბავშიც, სახე გაუფითრდა შიშისაგან და თვალში ცრემლები წამოუვიდა.

— დედილო, მაპატიე...

— დამშვიდდი შვილო, რას იზამ, სამაგიერო უნდა ვიეიდოთ.

— არა დედა, შენ მაინც ნუ იეიდი დედოფალას, იქნებ ასეც მიიღონ. სულ ხომ არ გატეხილა, არც

კი ეტყობა. შენ ნურავის ეტყვი და ისინი რას გაიგებენ.

— აგრე არ შეიძლება, ეგ ხომ უპატიოსნობა იქნება...

— იქნება არც კი გაზდვევინონ, ძალათ ხომ არ გაგვიტეხია... უსათუოთ არ გაზდვევინებენ. ისინი ხომ მდიდარი ხალხნი არიან... იმათთვის ეს არაფრათ ჭდირს? ჩვენ კი... ჩვენ ღატაკნი ვართ, — გულამოსკვნით წარმოთქვა გოგონამ.

— ადვილათ შეიძლება, — ამოიოხრა დედამ.

— რასაკვირველია არ აიღებენ! — დაბეჯითებით განიმეორა ბავშვმა და სახე გაუბრწყინდა.

მეორე დღეს დედამ კრძალვით აიარა მდიდრის სასახლის კიბე და თრთოლვარე ხელებით ზარი ჩამოჭკრა. მსახურმა საჩქაროთ კარი გაუღო და შეუშვა მდიდრულ საფენითა და სარკეებით მორთულ სასტუმრო ოთახში.

— რა გნებავთ, დედი? ჭკითხა მსახურმა შესვლისათანავე, რა შეჭხედა მის ღარიბულ ტანისამოსს.

— მე საკერავი მოვიტანე.

— კარგი, მოითმინეთ, ახლავე მოვახსენებ.

გაიარა ათმა წუთმა მოლოდინში. საბრალო უხერხულათა გრძნობდა თავს ამ მდიდრულათ მორთულ სახლში: თავისი თავი კიდევ უფრო საწყალათ, ღარიბათ და ბეჩავათ ეჩვენებოდა.

— სახლის მსახური მართა აქ არის, ქალბატონი კი არ გახლავთ შინ — უთხრა ლაქიამ, როდესაც დაბრუნდა.

ცოტა ხანს შემდეგ შემოვიდა ხანში შესული, შავტანსაცმელით ქალი და მედიდურათ შეხედა მოსულს.

— საკერავი მოგიტანიათ, ჩემო კარგო?

— დიახ, აბა ჭნახეთ ქალბატონო...

— კარგია, შვენივრათ შეგიკერავთ, — ეუბნებოდა მართა, ჭშინჯავდა რა დედოფლის ტანისამოსს, — რამდენი გერგებათ შეკერვაში?

— დიახ, ქალბატონო, მაგრამ, — ხმა ჩაუწყდა საბრალოს და ძალზე გაწითლდა.

— რა ამბავია.

— არ ვიცი როგორ გითხრათ, ისეთი რამ შემეძთხვა... იქნება მე სულაც აღარაფერი არ მერგოს საკერავიდან...

— რატომ? გაიკვირვა მართამ.

— დედოფალა უნებურათ გამივარდა და გატეხა... აი, აქ კისერთან გაიბზარა მხოლოთ.

— რასაკვირველია თუ თქვენ გატეხეთ, თქვენვე უნდა ზღოთ. ეგ სულ ერთია მთლათ გატეხა თუ გაიბზარა... სხვის საქონელს უნდა გაუფთხილდეთ ეოველთვის. თქვენ გერგებათ შესაკერი მგონი რვა მანეთი, დედოფალა კი ერთ თუმნათ ჭლირს; ორ მანეთს რასაკვრველია აღარ გამოგართმევთ და შეგიძლიათ ეს დედოფალა უკანვე წაიღოთ,

ჩვენ ეგ რალას გამოგვადგება, ახლა ახალი უნდა ვიეიდოთ. გატეხილი დედოფალას ჩუქება როგორ შეიძლება.

თავზარდაცემულსავით საჩქაროთ გამოვარდა საბრალო სასახლიდან დამტვრეული დედოფალათი ხელში. ,,თქვენ გაგიფუჭეთ და თქვენვე უნდა გადიხადოთ'',—ჯერ კიდევ ეურში უბზუოდა საბრალოს გულსაკლავი სიტყვები. რასაკვრველია, მართალია მე გავტეხე და მევე უნდა გადავიხადო'', მაგრამ ამისთვის ხომ უკანასკნელი გროში უნდა ამოიღოს ჯიბიდან, ხვალ კი დიდი დღე ასწაულია—დღესასწაული იმისი ვინც აღთქმაი. დაუტოვა კაცობრიობას ერთმანეთის სიყვარული და თავდადება.

გულზე კაეშანი და ბოლმა მოაწვა საბრალოს... რა უნდა უთხრას ახლა თავის გოგოს, არა, სიმართლეს არ ეტყვის ბავშს, არ გაუქრობს ნდობას და სიყვარულს ხალხისადმი. ეტყვის თავის ქალს, რომ დედოფალა აჩუქეს საშობაოთ და ფულებიც არ დაუჯირეს. ბავშს გაეხარდება ეს და ცას დაეწევა. რათ მინდა რომ დაწვრილებით ვუთხრა საქმის გარემოება, რათ შევულახო ჯერ წმიდა, სუფთა სული.

ფულები, ფულები საითღა იშოვოს... იმასაც როგორც იქნება იშოვნის. ერთი ქმრის დანატოვარი ძველი ბეჭედი აქვს, იგი ძვირათა ჭღირს, სულ უკანასკნელი ერთ თუმანს მაინც მისცემენ და მეტიც არ უნდა.

შ. ფრონელი.

საკვირველეგანი გუნეგისა.

№ 19.

მიხელტა *) (Aristolochia clematitis).

ქნება გენახოთ კიდეც სადმე ეს მცენარე? თუ უურადღება მიგიქცევიათ — ეს არის ერთი უბრალო-მიხრილ-მოხრილი ბატარა ბალახი, ეველა მუხლთან მიმჯდარი აქვს თითო ფოთოლი და ფოთლის ძირში უსხედს ჯგუფ-ჯგუფათ ევავილები.

ევავილი მიხელტასი არ არის ზოგიერთ სხვა ევავილებსავით ლამაზი და თვალის მიმტაცი, ფერიც კი არა აქვს რიგიანი: მოძწვან-მოეგითალოა — შემოდგომის ბალახის ფოთოლსავით, მაგრამ ეს ევავილი სხვაფერივ არის შესანიშნავი.



ა) მიხელტა. ბ) ევავილი მიხელტასი (გადიდებული).

ევავილი თავისთავათ ერთი მთლიანი მოხვეული ფურცელია და ერთის შეხედვით სოლინარსა (მილსა) ჰგავს. ამ სოლინარს ჰირი განიერი აქვს, მერე თანდათან ვიწროვდება და ბოლოში ისევ განიერდება, — ქოთნის მუცელისავით გამობერილია. ამ გამობერილ ადგილას უსხედს ევავილს ნასკვის [1]) ჰირი და რამდენიმე წვრილ-წვრილი მტვრიანანი. [2])

*) Кирказонъ (ის. რ. ერისთავის ლექსიკონი).

1) ნასკვი ის ნაწილია ევავილისა, რომელიც ხდება შემდეგში ნაყოფათ.

2) მტვრიანნა ის ნაწილია ევავილისა, რომელიც თავის მტვრით

ერთი უბედურობა სჯირს ამ ყვავილს: ნასკვი შკვე მომწიფებულია, რომ მტვრიანა ჯერ ისევ შემოუსვლელია ხოლმე. და თუ მტვრიანას ნაყოფიერი მტვერი არ დაეყარა ნასკვის ჰირს, ხომ ყვავილი ვერ დაითესლებს და ნაყოფს ვერ გამოიღებს. მაშ როგორა მრავლდება ეს მცენარე?

მიხელტამ ძალიან კარგათ იცის ეს, ჭვრმნობს ამ ნაკლულევანებას და აკი ისე მოუწყვია საქმე, როგორც შეეფერება მის ამ მხრივ უბედურობას.

ბუნებას მისთვის მიუნიჭებია ისეთი სუნი, რომელიც ძლიერ მოსწონთ წვრილ-წვრილ კოღოებს. მისი სუნი იზიდავს მათ ყოველის მხრიდან და ეს კოღოთა ლაშქარი აუარებელი ახვევია მუდამ წამს ამ ყვავილებს. დასტრიალებს კოღო ყვავილს, ეკვლება მას თავს, მოხიბლული მისი სუნხელებით და, რომ უფრო მეტათ დასტკბეს, მვრება შიგ ყვავილში. ყვავილი შიგნიდან შემოსილია წვრილი ბუსუსებით და ისე დაკეხებით სხედს შიგ ეს ბუსუსები, რომ თუმცა შესვლაში სრულიად არას უშლის კოღოს, სამაგიეროთ, მისი იქიდან გამოსვლა შეუძლებელი ხდება.

აი, შეფრინდა შიგ ერთი კოღო, მიჰყვა მას მეორე და მესამე, მაგრამ გამოფრენით კი ალარც ერთი ალარ გამოფრენილა. მოჰყვნენ შიგ, გახდენ ყვავილის ჰატიმრები. მიხელტაც, რაკი იხელთა ერთხელ ესენი, ისე ადვილათ

ალარ გაანთავისუფლებს. დაფართხალებენ შიგ საწყალი უდანაშაულო ჰატიმრები, აწუდებიან ეველა კედელ-კუთხეს, რომ ნახონ სადმე გამოსავალი ადგილი და უშველონ თავს. ამ ფართხალის დროს, თუ კოლოს წამოეოლილი ჰქონდა თან სხვა მიხელტას ევავილის ნაეოფიერი მტვერი და ის მტვერი მოახვედრა ამ მიხელტას ნასკვის ჰირს, საქმე ხელათ გათავდება.—ნასკვი დაითესლება და მიხელტასაც ხომ ეს უნდოდა. ნასკვის დათესლებას მოჰყვება უმალ დამწიფება მტვრიანასი, რომელიც შეაერის თავის ნაეოფიერ მტვერს მოუსვენარ ჰატიმრებს; ამავე დროს დაჯკნება კარის მცველი ბუსუსებიც და კოლო, გაგანგლული ევავილის ნაეოფიერი მტვრით, გამორბის სოლინარიდან.

ახლა რომელ ევავილშიაც უნდა შეფრინდენ ეს კოლოები, შეიტანენ თან იქიდან წამოღებულ ნაეოფიერ მტვერს და, რა წამს დაანაეოფიერებენ ამ მეორე ევავილს, გაეღებათ აქაც საჰატიმროს კარები.

ლადო აღნიაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო გასართობი

№ 19.

ჩიტი პირში უვარდება.

ნახატე სადარბაზო ბარათზე მარცხნივ მხარეს თავი უმაწვილი-კაცისა, დიდათ ჰირდაღებული, მარჯვნივ —ჩიტი, მიმფრინავი იმ უმაწვილის ჰირისაკენ.

აიღე ახლა ეს დახატული სადარბაზო ბარათი, დაუჭირე თვალწინ, სიბრტყეზე, ერთერთ შენ ამხანაგს, მაგრამ ისე კი, რომ ბარათის კიდე მიბჯენილი ჰქონდეს ზედ ცხვირის წვერზე. მერე ძალიან ნელნელა აატრიალე ზემოთ ეს ნახატი და თან ცხვირის წვერიდან კი არ მოაშორო. როცა ბარათს კარგა მაღლა აატრიალებ და თითქმის თვალებთან მიუტანთ, მაშინ იმას ისე ეჩვენება, რომ ვითომ შიგ ჰირში შეუფრინდა ეს ჩიტი და უმაწვილმაც გადაულაპა.

ბორა.



ძ ე ძ ვ ი.

ი გ ა ვ ი.

ღაბრათ ამბობენ, რომ ოდესმე ძეძვს ეკალი არ ჰქონია. იმ ხანებში მას ადამიანზე ასეთი საჩივარი დაუწყია: „ადამიანის ხარბ თვალსა და გულს ვერც ერთი მცენარე ვერ უმაგრდება: ყველას ეპოტინება, მოუჭრელი არც ხე, არც ბუჩქი არ გადურჩება; ზოგს გათლის, ზოგს ფიცრათ დახერხავს, ზოგს თონეში უმახებს, ზოგს ბუხარში.

ხშირათ მეც მის მსხვერპლათ შევიქნები ხოლმე; რა კარგი იქნებოდა, რომ ეკლით შემოსილი ვიყო; ადამიანი ხომ ხელს ვერ შემახებდაო.

შესთხოვა უფალს ეკალი!

უფალმა ძეძვს ვედრება შეუსმინა და შეასხა ეკალი.

ერთხელ კაცი გზათ მიდიოდა, დაინახა ეს ეკლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეძვი და თქვა: „ოჰ, განა ამაზე უკეთესი რამდა მოიპოვება ჩემი ვენახის ღობისთვისაო“.

მოიტანა წალდი, გადასჭრა მეძვი, დაუდო ურემზე, მიიტანა შინ და ვენახს ღობეთ შემოავლო.

ალ. მ—შვილი.

ვალიკოს ვირი.

ერიდი წლის ვატარა ვალიკო ლამაზი ემაწვილია, მავგვრემანი, სუჭუჭთმიანი და ცოცხალ თვალებიანი. ის თავის გაკვეთილებს ძალიან ვულ-მოდგინეთ სწავლობს, შვენივრათ და შეუცდომლათ სწერს და სწრაფათ ანგარიშობს. დედას ძალიან უყვარს თავის ბიჭუნია, რომელსაც მარტო ერთი ნაკლულევანება აქვს: ვალიკო ზოოფილია. იცით ემაწვილებო რას ნიშნავს ეს ახირებული ბერძნული სიტყვა? ზოოფილი ნიშნავს ვირუტყვების მეგობარს. ვალიკოს არ უყვარს არც ბურთის, არც კოჭის და არც სალდათობიას თამაში, იმისი ერთათ ერთი სიამოვნება ის არის, რომ ვირებს სდიოს, ქათმებს და წიწილებს საკენკი დაუყაროს და ლამაზ, თეთრ ბაკაკებს ახალ ახალი მწვანე ბალახი აჭამოს.

ვალიკო სოფელში ცხოვრობს, სადაც მამა მის შვენიერი შემუშავებული მამული აქვს და სადაც ბევრია ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთ დასახლებული ჰირუტუვები, რომლებიც ქალაქის მაღაზიების მინებში ხისა ან ქაღალდისაგან გაკეთებულებია გამოფენილი.

ჰალიკომ თავის სადღესასწაულო საჩუქრათ ერთი შვენიერი ჰატარა ნაცრის ფერი ვირი მიიღო, ნაძღვილი ვირი, რომელიც იი...აა! იი...აას ეროუინებდა ისე მაღლა, რომ სუ-ეველას ეურებს უე-რუებდა. ჰალიკო აღ-ტაცებაშია ამ შვენიერი საჩუქრით, რომელზე-დაც შეუძლია შეჯდეს, რამდენიც უნდა ისეირნოს და აჯამოს. ამ საჩუქარს ფე-ხები მაინც არ მოტუდება—ფიქრობს იგი. იმის ჭაზრით მისი ვირი ეველა მთელ ქვეენიერების მაღაზიებში გამო-ფენილ ვირებსა ჯობია.



ერთ დილას ჰალიკომ შეკაზმა თავისი ვირი და მინ-დორში სასეირნოთ წავიდა. იქ ბევრი ფერად-ფერადი ეკა-ვილები დაჭკრიფა; გააკეთა შვენიერი ვარდის კონა და უნ-დოდა თავის დედისთვის მიერთმია, იმან სახლისკენ გა-მოაჯენა ვირი და სურდა, რაც შეიძლება მალე მიერთ-მია დედისთვის ვარდის კონა.

როდესაც ჰალიკო კიბესთან მივიდა დეზები შემოჭკ-

რა ვირს, რომელიც ძალიან გაჯირვებით ლ მძიმეთ აცოცდა მეორე სართულამდის. კარებთან რომ მივიდენ ვირმა შეჭქნა ურიოინი, ამით იმან თავისი მოახლოება აცნობა ეველას.

ვალიკოს გამდელი შეშინებული გამოვიდა დერეფანში და ჩვენმა მამაცმა ვარდის კონა მიაწოდა, დედის გადასაცემათ და თითონ კი არ ჩამოხტა.

— აჰ! ვალიკო, რა გიქნია ეგ! შეჰვევირა გამდელმა — რაზე ამოგიეკანია ეგ საცოდავი ჩიჩორი ამ სიმაღლეზე? დედა ხომ ძალიან გაგიწურება! სად გინახავს ან გაგიგონია, რომ ზემო სართულში ცხენით ამოდიოდენ?

ვალიკომ ძალე იგრძნო თავისი სისულელე და უნდოდა როგორმე გაესწორებინა. საჩქაროთ ვირიდან გადმოხტა, ღონივრათ შოლტი გაარტყა საცოდავ ვირუტეკს, რომელმაც მძიმეთ ჯერ ერთი, მერე მეორე ფეხი გადმოდგა.. ბავშმა გაუმეორა კიდევ შოლტი და საცოდავი ჩიჩორი თავდაყირა წამოვიდა ზემო სართულიდან ძირამდის.

ძირს გლეხებმა ხმაურობა რომ გაიგონეს საჩქაროთ მოცვივდენ და ვირს დაუწყეს შინჯვა, მაგრამ რა! საწყალ ჩიჩორს ფეხები დაშავებული ჰქონდა და თუ არ მოკვდებოდა დიდი ხნის მოვლა და ბევრი წამლობა მაინც მოუნდებოდა.

ვალიკომ ბევრი იტირა და იწუხა, მაგრამ გვიანდა იყო.

ეკ. მ—სა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ ა ლ ხ უ რ ი.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

ყველას თავის წამალი აქვს—
გაჭრილსა და მოწამლულსა,
რატომ გულსა ვერა ეწამლობთ
კაცის ენით მოშხამულსა.

(ფშავში ჩაწერილი გრ. აფბინაშვილისაგან)

ტირილითა და გლოვითა
მტერნი არ შეგვიბრალებენ;
სადაც კი დაგვეწევიან
დღე იყოს დაგვიღამებენ;
სადაც ვერ დაგვეწევიან,
მუქარას დაგვიბარებენ.

—

ცეცხლო შენ დამწვავ—წესია,
შენ რადღა ნედლობ, შეშაო?
ხმალო, შენ გამჭრი—წესია,
შენ რადღა, დუშმნის ენაო?

—

მარხვა ვის გაუგონია
მეცხვარისა და ძგლისაო?
ლოგინი უგავ ფიჩხისა,
სართაული აქვს ქვისაო.

—

სიკვდილს ვაძლიე ქრთამები,
თუ სად რამ მებადებოდა;
არ დაიჯერა, მე მომკლა,
არ ვიც, რას მემართლებოდა?



ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი გიორგი ბოკერიასგან)

ადამიანის პანლური ვირის წიხლზე უარესია.

ჯიუტი ადამიანი და უხედარი ჯორი ერთია.

უგზო-უკლოთ მოარული ორივ თვალით ბრმა არის.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი მისგანვე).

ის რა ჭურჭელია, რომელშიაც პური ხოცათ იქცევა და ღვინო სისხლათ?

რა ასხია ადამიანს?

ის რა მკვდარია, ცოცხალს რომ ემუსაიფება?

დღისით ღადღადებს ცეცხლსავით,
საღამოს მთაში ჩაქრება,
ზაფხულში თავზე გვადგია,
ზამთარში უყვარს შორს რება;
უმისოთ ყველა მცენარე
აუყვავებლათ გაჭქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ ა გ რ ა მ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

პირველი გამოცანაა
პატარა ნახატებითა;
გამოჰყავთ პაწა ლექსებით,
ზოგჯერაც ანდაზებითა.
მეორე ჩრდილო ხალხია,
ჩვენთან მოსულნი ქებითა;
ჩვენ იმათ ვიცნობთ მეფისა
გიორგის მეოხებითა.
მესამე არის — სოფელი,
ქართველთა მცხოვრებლებითა;
იგივე ჰქვიან ლიტრებსა,
სიტყვების გამრავლებითა;
სულ ყველას ექვსი ასოთი
დაეწერავთ მოხერხებითა.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მისგანვე)

პირველს იძახის ოთხ-ფეხი,
ლამაზი საქონელია;
განსაკუთრებით ყინვაში
შესანახავათ ძნელია.
მეორეს ვნახავთ ვენახში,
საჭმელათ გემრიელია;
შემოდგომაზე მწიფდება,
როცა ვენახში რთველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ბავშების მოკეთე,
ერთგული გამომზდელია;
ჭკვიანათ, გონიერულათა
არაკებისა მთქმელია;
მშობლის დედასაკ ვეძახით,
ბავშების საყვარელია.
ბავშებო, თქვენი გულისა,
აწ გამოცნობას ველია.

რებუსი





№ IX გამოცანებისა.

გ ა მ ო ც ა ნ ა: აბრაშუმის ჭია.

შ ა რ ა დ ა: იაგუნდი.

რ ე ბ უ ს ი: ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა.

გამოცანა, შარადა და რებუსი ახსნეს თ ფ ი ლ ი ს შ ი: სათავად აზნაურო სკოლის მოსწავ. დიმიტრი დეკანოზიშვილმა, სახელ. სასწავ. მოსწავ. იპოლიტე ცხადაძემ, ტრიფონ ნამგალაძემ, ირაკ. პერტენავამ და გეურქ სარქისოვმა. გ ო რ შ ი: დათ. მაჭავარიანმა, ეანო ლალიაშვილმა, ნიკო მერაბოვმა და გორის დედათა პროგიმნაზიის მოსწავლე ქალებმა: ნინა საბაშვილმა, მარიამ მოკალათიამ და მარიამ უთნელიშვილმა. აკეთის ორ კლასიანი სკოლის მეხუთე განყოფილების მოსწავლეებმა და ალისუბნის სკოლის მოსწავლე ელად. კაპანაძემ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.